იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა

(კერძო სამართლის სპეციალიზაცია)

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, მათი ცნება, უჩვეულო დებულებანი და ბათილობის წინაპირობები, როგორც რისკებისგან თავის დაცვის საშუალება

თემის ავტორი: **კახა წიქარიძე**

E_mail: ktsiqaridze@gmail.com

ტელ: 598376648

ხელმძღვანელი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ- პროფესორი
გიორგი რუსიაშვილი

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2019 წელი

სარჩევი

შემოკლებები 4

აბსტრაქტი 5

1. ხელშეკრულების დეფინიცია 7

2.ხელშეკრულების თავისუფლება და მხარეთა კერძო ავტონომია 9

3.ხელშეკრულების თავისუფლებისა და სტანდარტული პირობების ურთიერთმიმართება. 10

4. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ისტორიული ექსკურსი 12

5.ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნება 13

6.სტანდარტული პირობების მახასიათებელი ნიშნები 15

7.სტანდარტული პირობების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები 17

7.1სტანდარტული პირობების გამოყენების უპირატესობები 17

7.2 სტანდარტული პირობების გამოყენების უარყოფითი მხარეები 18

8. სტანდარტული პირობების გამოყენების მიზნები. 19

9. სტანდარტული პირობების სისტემატიკა 22

10.სტანდარტული პირობების გამოყენების წინაპირობები 23

10.1 სტანდარტულ პირობები, როგორც ხელშეკრულების პირობები 23

10.2 სტანდარტული პირობა როგორც მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობა 25

10.3 სტანდარტული პირობის წაყენების ფორმა 26

10.4 სტანდარტული პირობის ფორმა და მოცულობა 28

10.5 სტანდარტული პირობები, როგორც კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესები. 29

10.6 მხარეების მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრული პირობები 30

10.7 ინდივიდუალური პირობების უპირატესობა სტანდარტული პირობების წინაშე 32

10.7.1.ფუნქციურ-რანგობრივი მიმართება 33

11. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად 34

12. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებანი 38

12.1 შინაარსის კონტროლი კანონმდებლის მიერ 40

12.2 ინდივიდუალური შეთანხმების უპირატესობა 41

12.3 სტანდარტული პირობის ობიექტურად უჩვეულო პირობად შეფასება 42
ა) ობიექტურად უჩვეულო კლიენტის თვალსაწიერიდან 44
ბ) ზოგადი და კონკრეტული გარემოებები 45
12.4 უჩვეულო დებულების მოულოდნელობა 46
13. ბუნდოვანი ტექსტის განმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ 49
13.1 უჩვეულო სტანდარტული პირობის კანონმდებლისეური ხედვა 52
14. ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო პირობათა ბათილობა 53
14.1 ბათილობის წინაპირობები 54
14.1.1 მეორე მხარისათვის საზიანო 54
14.1.2. შეუსაბამობა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან 56
15. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობა 58
15.1 შემთვაზებლის მიერ შესრულების ვადის განსაზღვრა 59
15.2 შემთავაზებლის უსაფუძვლო უარის დაუშვებლობა ვალდებულების შესრულებაზე ... 61
15.3 შემსრულებლის უფლება ვალდებულების შეცვლა-ანაზღაურებაზე 62
16. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის სხვა საფუძვლები 63
16.1. ფასების მოკლევადიანი მომატება 63
16.2 შესრულებაზე უარის თქმის უფლება 65
16.3 ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის აკრძალვა 67
16.4 გაფრთხილება ვალდებულების შესრულების შესახებ; ვადის დანიშვნა 69
16.5 ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა 70
16.6 პასუხისმგებლობის შეზღუდვა გაუფთილებლობის გამო 71
16.7 ძირითადი ვალდებულების დარღვევა 74
16.1.1 ძირითდი ვალდებულება 74
16.8 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა 75
16.9 პასუხისმგებლობა ნაკლისთვის 76
დასკვნა 77
გამოყენებული ლიტერატურა 78

შემოკლებები

ა.შ. ასე შემდეგ

იხ . იხილეთ

მაგ. მაგალითად

შდრ. შედარება

სუსგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სსკ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მით. მითითება

აბსტრაქტი

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ქართულ სამართლებრივ სისტემაში შეიძლება ითქვას რომ პრაქტიკისთვის შედარებით ახალ საკითხს წარმოადგენს, რომელიც ჩემი აზრით დაკვირვებას და დროში გამოცდას საჭიროებს. მოცემული ნაშრომი სწორედ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს ეხება, რამეთუ ეს უკანასკნელი თავისი ბუნებიდან და რეგულირების ხასიათიდან გამომდინარე ჩემში საკმაოდ დიდ ინტერესს აღძრავს. ის რაც ერთი შეხედვით მარტივად შეიძლება მოეჩვენოს მომხმარებელს, შესაძლია საკმაოდ რთული და „სადამსჯელო“ ხასიათის მატარებლი აღმოჩნდეს. მოცემულ ნაშრომში ვეცადე ჩამომეყალიბებინა სტანდარტული პირობების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები, როგორც შემთავაზებლის ასევე შეთავაზების მიმღების ინტერესებიდან გამომდინარე. როგორც მონეტას ისევე სამართლებრივ ნორმასაც ორი მხარე აქვს. ეს უკანასკნელი უნდა ემსახურებოდეს სამართალს და იძლეოდეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეთა თანასწორობის გარანტს. სწორედ ზემოხსენებულიდან გამომდინარე მიმაჩნია რომ მოცემული საკითხი საკმაოდ საინტერესოა და მისი შემდომი დამუშავება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სტანდარტული პირობების სახელშეკრულებო პრაქტიკაში უკეთ აღსაქმელად და გამოსაყენებლად.

შესავალი

კაცობრიობის განვითარებას ისტორიის თითოეულ ეტაპზე თან სდევდა საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე არსებული ურთიერთობები. მათგან ყველაზე თვალსაჩინო ხელშეკრულებაა, რომელიც ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე ყველაზე ხშირადგამოყენებად სამართლებრივ ინსტრუმენტად შეგვიძლია განვიხილოთ. სამართლის განვითარებასთან ერთად, რაც საზოგადოების განვითარების თანმდევი მოვლენაა, ვითარდებოდა ხელშეკრულება, როგორც ურთიერთობის დამარეგულირებელი ერთ-ერთი სამართლებრივი საშუალება. პრიმიტიული აღებ-მიცემობიდან თანამედროვე ორმხრივ თუ მღავალმხრივ ხელშეკრულებამდე სამართლის ამ ინსტიტუტმა დიდი გზა და განვითარების ეტაპები განვლო. თუ წარსულში ხელშეკრულება შემთავაზებლის მიერ იმპერატიულად ჩამოყალიბებულ ხასიათს ატარებდა, დღევანდელ რეალობაში ეს უკანასკნელი ორი ან რამდენიმე მხარის სურვილთა სამართლებრივ თანხვედრას წარმოადგენს.

მიუხედავად სამართლის განვითარების და ხელშეკრულების დახვეწისა, დღემდე რჩება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინასწარ განსაზღვრული და დადგენილი პირობები, რომელსაც ეს უკანასკნელი მრავალჯერადი გამოყენების დანიშნულებას აძლევს. სწორედ წინასწარ დადგენილი, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობები წარმოადგენს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, რომლის მიღებაც ხელშეკრულების მეორე მხარეს იმ ფორმით უწევს, რა ფორმითაც იგი შემთავაზებელმა წარადგინა. მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს სტანდარტული პირობები იმ სახით, როგორითაც იგია შეთავაზებული ან საერთოდ უარი თქვას მასზე. მხარეთა შორის სტანდარტულ პირობებზე შეთანხმება ავტომატურად გარდაქმნის სტანდარტულ პირობას არასტანდარტულად და მას მხარეთა შორის შეთანხმებულ ახლადჩამოყალიბებულ პირობებად წარმოაჩენს.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ერთი შეხედვით, მეწარმე სუბიექტსა და ფიზიკურ პირს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის სრულყოფისა და გამარტივების წინაპირობად შეიძლება აღიქმებოდეს, თუმცა იგი მკაცრ სამართლებრივ კონტროლს საჭიროებს, რათა იგი არ გახდეს კაბალური ხასიათის მატარებელი.

თემაში განხილულია ის ძირითადი ასპექტები, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მნიშვნელობას სამოქალაქო სამართალში, მის წარმოშობას, ისტორიულ განვითარებასა და გამოყენებას, სტანდარტული პირობების დადებითი და უარყოფითი მხარეებს, გამოყენების უპირატესობებს, პრობლემურ საკითხებსა და პრეცედენტებს.

1. ხელშეკრულების დეფინიცია

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, სახელშეკრულებო ურთიერთობები ადამიანთა თანაცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სწორედ ხელშეკრულება წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობების დამარეგულირებელ საშუალებას. იგი პირთა ნების თავისუფალი გამოხატვის, სევე მისი აღქმისა და მიღების საშუალებაა.

ამქვეყნად ვერავინ შეძლებს ისე ცხოვრებას, რომ რაიმე სახის ვალდეულების შესრულება არ მოუწიოს. შეუძლებელია იცხოვრო საზოგადოებაში და დამოუკიდებელი იყო მისგან.[1]

„ხელშეკრულება სოციალური სიკეთისა და მატერიალური დოვლათის განაწილების უმნიშვნელოვანესი ისტრუმენტია. ადამიანები უხსოვარი დროიდან ამყარებენ ურთიერთობას სხვადასხვა ნივთისა და საქონლის გაცვლის მიზნით. შეიძლება ითქვას, რომ ის ცხოვრებისეული ინსტიქტის დონეზე არსებობს. ხელშეკრულებას მხარეები მხოლოდ მაშინ დებენ, როდესაც თითოეული მხარის სარგებელი გათვალისწინებულია”[2].

თავისი არსით, ხელშეკრულება არის ორი ან ორზე მეტი პირის თავისუფალი ნება, შევიდნენ ერთმენეთთან სამართლებრივ ურთიერთობაში, შესაბამისად ხელშეკრულებაში უნდ მონაწილეობდეს მინიმუმ ორი პირი. ხელშეკრულების დადებით მხარეები კისრულობენ გარკვეული ვალდებულების შესრულებას და აღიჭურვებიან შესაბამისი უფლებით.[3] მხარეთა გამოვლენილი ნება კი

---

[1] Сарбаш, Исполнение Договорного Обязательстваб 2005, 3.

[2] kots/Flenser, Europaisches Vertragsrecht, 1996, 5.

[3] ჭანტურია/ ზოიძე/ ნინიძე/ შენგელია/ ხეცურიანი/ სსკ-ის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 317-ე მუხლი. გვ. 45.

შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ერთმენათთან. სწორედ ურთიერთმფარავი ნების გამოვლენაა იმის საწინდარი, რომ ხელშეკრულების დათქმული პირობებით შესრულებით მხარეები იმ სამართლებრივ შედეგზე გავლენ, რომელიც მათ ისურვეს.[4] ზემოხსენებული განმტკიცებულია, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და კონსტიტუციით, რაც კერძო ავტონომიის პრინციპში ჰპოვებს რეალიზებას, ასევე საერთაშორისო სამართლის აქტებით.

ხელშეკრულება - ეს არის ერთგვარი წესების ერთობლიობა, რომელთა შემუშავება ხელშეკრულების მხარეების მიერ ხორციელდება და იგი გამიზნულია კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დასარეგულირებლად.[5] გამომდინარე აქედან, მხარეები უმეტესწილად თავად განსაზღვრავენ ხელშეკრულების ნორმებს და წესებს, ხოლო ამ ყოველივეს საფუძვლად უდევს სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი-**მხარეთა ნების ავტონომიის** პრინციპი.[6] აღნიშნული პრინციპი ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს აძლევს ერთგვარ თვისუფლებას თვიანთი დადგენილი და სასურველი პირობებით განსაზღვრონ ხელშეკრულება და შევიდნენ ერთმანეთთან სამართლებრივ ურთიერთობაში.

ჩემს ნაშრომში განსახილველი საკითხი ხელშეკრულების თვისუფლების პრინციპის პირდაპირი გამოძახილია. სწორედ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის რეალიზებაა მეწარმე სუბიექტისთვის სტანდარტული პირობების დადგენისა და მრავალჯერადად გამოყენების შესაძლებლობის მიცემა. მიუხედავად ხელშეკრულების თავისუფლებისა, ზემოხსენებული შესაძლებლობა არ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მეწარმე სუბიექტის სამართლებრივი ჯავშანი. სტანდარტული პირობების განსაზღვრა, ჩამოყალიბება და მრავალჯერადი გამოყენება იქამდე შეიძლება სამართლებრივ საზღვრებში ექცეოდეს, სანამ იგი, შემთავაზებლის სასარგებლოდ, კაბალური პირობების ხასიათის მატარებლად იქცევა.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენების თავისუფლების საზღვრები მთავრდება იქ, სადაც ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი ირთვება.

---

[4] ძლიეშვილი/ცერცვაძე/ სვანაძე/ რობაქიძე/ ჯანაშია სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 87, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014.

[5] Musielak, Grundkurs BGB, 12, Auflage, 2011, 43

[6] კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009. გვ.

2.ხელშეკრულების თავისუფლება და მხარეთა კერძო ავტონომია

თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის წარმოდგენა ხელშეკრულების თვისუფლების პრინციპის გარეშე შეუძლებელია[7], რადგანაც იგი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ერთგვარი საფუძველია სახელშეკრულებო სამართლის განვითარებისათვის, რაც გულისხმობს მაგალითად, ახალ რეგულაციებსა და პრაკტიკაში მათ დამკვიდრებას.

ხელშეკრულების თვისუფლების პრინციპის დეფინიციას განსაზღვრავს სსკ-ის 319 მუხლი, რომლის თნახმადაც: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.“[8]

როდესაც ვსაუბრობთ ისეთ მნიშვნელოვან პრინციპზე, როგორიც ხელშეკრულების თვისუფლებაა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კერძო სამარლის მეორე უმნიშვნელოვანესი პრინციპი- მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპი. ზემოაღნიშნული ორი პრინციპი ერთმანეთს პირდაპირ უკავშირდება. კერძო ავტონომია სამოქალაქო სამართლის საფუძველთა საფუძველია. მხარეთა კერძო ავტონომია თავის თავში გულისხმობს პირთა შესაძლებლობას ურთიერთობა ერთმანეთში მოაწესრიგონ – გარიგების, განსაკუთრებით ხელშეკრულების მეშვეობით.[9] კერძო ავტონომია ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის საფუძველია. ეს გამოიხატება ხელშეკრულების თავისუფლებაში. ხელშეკრულების დადების თავისუფლება არის შესაძლებლობა დადოს ან არ დადოს პირმა ესა თუ ის ხელშეკრულება, შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაჰენტი და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებით თავისუფლად განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი.

კერძო ავტონომიის პრინციპი შესაძლოა განვიხილოთ არამხოლოდ როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არამედ როგროც კონსტიტუციური

---

[7] ძლიეშვილი/ცერცვაძე/ სვანაძე/ რობაქიძე/ ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 87, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014.

[8] სსკ-ის 319 მუხლის 1 ნაწილი.

[9] Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des bürgelichen Rechts, §213. Rn. 17

პრინციპი, რადგანაც იგი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ხელისშემწყობ ინსტიტუტს წარმოადგენს, იმდენად რამდენადაც უზრუნველყოფს პირის თავისუფალ ნებაზე დამყარებულ სამართლებრივი ურთიერთობების შენებას.[10]

მიუხედევად ამ პრინციპთა უაღრესად დიდი მნიშვნელობისა, კანონი მათაც უწესებს შეზღუდვებს და ე.წ ჩარჩოებში აქცევს, რადგანაც ამ ორივე პრინციპის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კანონის იმპერატიული მოთხოვნების დაცვის პირობით.

3.ხელშეკრულების თავისუფლებისა და სტანდარტული პირობების ურთიერთმიმართება.

„ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ინდუსტრიალიზმის პირმშოა“[11]. მისი არსებობა განაპირობა იმ ფაქტორებმა, რომ პროდუქციის წარმოება ხდებოდა სწრაფი და დიდი მაშტაბებით . ეს კი საჭიროს ხდიდა მარტივი და მოქნილი სტანდარტული სისტემის არსებობას. თუმცა აღნიშნული ტიპის ხელშეკრულების შედგენისას მხარეს ყოველთვის აქვს სურვილი და ქვენაგრძნობა იმისა, რომ მთელი პასუხისმგებლობა ან რისკები მეორე მხარეს გადააკისროს.[12] ასეთი ხელშეკრულებაში, როგორც წესი, არ შეუძლია მეორე მხარეს ცვლილებებს შეტანა. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ის ან უნდა დაეთანხმოს პირობებს, ან საერთოდ უარი თქვას გარიგებაზე. ასე კი გვჩება განცდა, რომ თითქოს ამ მხარეს აქვს მოქმედების თავისუფლება, თუმცა რეალურად ასეთი ტიპის ხელშეკრულებები უგუნებელყოფენ მის უფლებას, მონაწილება მიიღოს ხელშეკრულების სასურველი პირობების შედგენაში.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ხელშეკრულების თავისუფლებაში ჩარევის ერთ-ერთი გავრცელებული მაგალითია.[13] უპირველეს

---

[10] Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des bürgelichen Rechts, §213. Rn. 17

[11] ძლიეშვილი/ცერცვაძე/ სვანაძე/ რობაქიძე/ ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, გვ.57, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014

[12] kots/Flenser, Europaisches Vertragsrecht 1996, 210.

[13] Schmidt H., Einbeziehung von AGB im unternehmerischen Geschäftsverkehr, NJW, Heft 46, Verlag C.H. Beck, München, 2011, 3330.

ყოვლისა იზღუდება შინაარსის განსაზღვრის თვისუფლება.[14] ხელშეკრულებას არსობრივად დაეკარგება აზრი თუ მისი პირობები მთლიანად იქნება დამოკიდებული ერთ მხარეზე, ხოლო მეორე მხარე ვერ შეძლებს მის შედგენაში მონაწილეობის მიღებას და ამის გამო დისკრიმინაციულ პირობებში აღმოჩნდება, რადგანაც სტანდარტული პირობების გათვალისწინებით, შედგენილი ხელშეკრულება გამორიცხავს მასში რაიმე ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას. შემძენი იძულებულია დაეთანხმოს შეთავაზებულ პირობებს ან უარი თქვას სასურველ შენაძენზე.[15]

როდესაც ვსაუბრობთ სტანდარტული პირობებისა და ხელშეკრულების თვისუფლების პრინციპის ურთიერთმიმართბაზე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ ინსტიტუტის მომწესრიგებელ პრინციპებზე, როგორიცაა კეთილსინდისიერების პრინციპი , სტანდრატული პირობების ბათილობის ინსტიტუტი და შინაარსის კონტროლი.[16]

სამოქალაქო სამართლის კოდექსი 346-ე მუხლით აწესრიგებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სტანდარტებს, რომლის თანახმადაც მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრონციპები, რადგანაც ხელშკერულების მეორე მხარეს უჩნდება ნდობა შემთვაზებლის მიმართ, თუნდაც მისი სათანადო ციდნის დ აგამოცდილების არქონის გამო.[17]

როგორც წესი, სტანდარტული პირობებით ხელშეკრულების დადებისას შემძენისთვის უარყოფით შედეგებს განაპირობებს „წვრილმანები," რომელსაც კონტრაჰენტი ყურადღებას არ აქცევს. ამიტომაც ასეთი ხელშეკრულების დადებისას ხშირია შემთხვევები, როდესაც მეორე მხარეს პრეტენზია აქვს არა მთლიანად ხელშეკრულების, არამედ მისი რომელიმე კონკრეტული პუნქტის მიმართ და ითხოვს მხოლოდ მის ბათილად გამოცხადებას. ხოლო

---

[14] Busche in MüKo zum BGB, 6. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2012, vor §145, Rn. 26 <www.beck-online.beck.de> [22.06.2013].

[15] ძლიეშვილი/ცერცვაძე/ სვანაძე/ რობაქიძე/ ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 87, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014

[16] ძლიეშვილი/ცერცვაძე/ სვანაძე/ რობაქიძე/ ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 87, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014

[17] სსკ-ის 346 მუხლის დეფინიცია.

ხელშეკრულების დანარჩენი პიობები და შეთანხმების ძირითადი საგანი მისთვის მისაღებია და სურს უცვლელად დატოვოს. [18] იმისათვის რომ საფრთხე არ შეექმნას ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს საჭიროა კოდექსით დადგენილი მინიმალური სტადარტებისა დაკეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა.

ხელშეკრულების თვისუფლება თავის გულისხმობს არა ცალმხრივ , არამედ ორმხრივ ნებას. ხელშეკრულების მთავარი პირობა სწორედ მისი თავისუფალი ხასიათია, თუმცა როდესაც ხელშეკრულება გამახატავს არა ორივე, არამედ მხოლოდ ერთი მხარის თავისუფალ ნებას ამით უკვე ირღვევა კეთილსინდისიერების პრინციპი და შეგვიძლია ვისაუბროთ ხელშეკრულების სტანდრატული პირობების ბათილობაზეც.

4. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ისტორიული ექსკურსი

საინტერესოა თავად ის ფაქტი, თუ საიდან იღებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები სათავეს და რა გახდა მათი ჩამოყალიბების, გამოყენებისა და საჭიროების მაპროვოცირებელი გარემოება.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენება მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს, რაც ინდუსტრიალიზაციის განვითარებით იქნა გამოწვეული. სწორედ ინდუსტრიალიზაციის განვითარების შედეგად, საქონლისა და მომსახურების მასობრივმა წარმოებამ შეცვალა ძირეულად ეკონომიკა და საზოგადოება[19]. სწორედ ეკონომიკის ზრდას მოჰყვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენების ზრდა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებაში გაზრდილი წარმოებისა და მომსახურების პირდაპირი გამოძახილი გახლდათ. იზრდება რა ეკონომიკა, იზრდება საზოგადოების მოთხოვნილება, რაც შეიძლება მყარი სახელშეკრულებო ურთიერთობით აწარმოოს ბრუნვა, ვაჭრობა თუ მომსახურება და გრძნობდეს თავს დაცულად სამართლებივ ურთიერთობაში შესვლით. სწორედ ზემოხსენებული განვითარების შედეგი გახლდათ ცხოვრების

[18] kots/Flenser, Europaisches Vertragsrecht 1996, 210
[19] Geo Comm Law Review, 2013, გვ. 67

ახალი წესის დანერგვა, სადაც გარკვეული უფლებების შეძენა სწორედ ხელშეკრულების დადების შედეგად ხდებოდა შესაძლებელი[20]. ეკონომიკის განვითარებამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მეწარმეობის განვითარებას, სადაც მეწარმეები უფრო მეტად ცდილობდნენ სტანდარტული პირობების გამოყენებით სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლას და მათი მეშვეობით სტაბილურობის შენარჩუნებას. სტანდარტული პირობებიდან გამომდინარე მეწარმეს ექმნებოდა ერთგვარი გარანტია, რომ მეორე მხარე ალტერნატივის არ არსებობის გამო მასთან დადებდა ხელშეკრულებას. სტანდარტულ პირობებზე შეთანხმების შეუძლებლობის გამო მეორე მხარე იძულებული იყო ან მიეღო მეწარმე სუბიექტის მიერ შეთავაზებული პირობა ან უარი ეთქვა მასზე. მსგავს შემთხვევებში მოქმედებდა პრინციპი „take it or leave it",[21] რაც, თავის მხრივ, შემთავაზებლის მხრიდან მეორე მხარეს არ აძლევდა ალტერნატივას.

სწორედ ზემოხსენებული ისტორიული გამოცდილებაა იმის საფუძველი, რომ მოხდეს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მკაცრი სამართლებრივი რეგულირება, რათა თავიდან იქნას აცილებული მეორე მხარის უალტერნატივო აქცეპტი, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობა კაბალურ პირობას შეიძლება ემსგავსებოდეს.

5.ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნება

ხელშეკრულება და მისი სტანდარტული პირობები თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რაც ეკონომიკური განვითარების თანმდევ, ერთ-ერთ უმთავრეს მონაპოვარს წარმოადგენს.

ქართული კანონმდებლობა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს საქ. სამოქალაქო კოდექსის 342-348-ე მუხლებით განამტკიცებს. კანონმდებლობის მოცემული ნაწილი ცდილობს ამომწურავად გასცეს პასუხი დასმულ საკითხებსა და გამოწვევებს თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობებში, თუმცა მოცემული მუხლები შეუძლებელია ამომწურავად პასუხობდეს თანამედროვე სახელშეკრულებო გამოწვევებს.

[20] Geo-Comm Law Review, 2013 ,გვ. 67

[21] Geo-Com Law Review. გვ 67

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, მის ზოგად დეფინიციას წინასწარ განსაზღვრულ, მრავალჯერადი გამოყენებისაკენ მიმართულ პირობებად განიხილავს, რომელსაც აუცილებლად ერთი მხარე, შემთავაზებელი, უნდა უნდგენდეს ხელშეკრულების მეორე მხარეს და რომლითაც კანონისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესების დადგენა უნდა ხდებოდეს.

აღსანიშვანია ის ფაქტი რომ 342-ე მუხლი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად კონკრეტული პირობის გადაქცვვის იმპერატიულ წესს ადგენს და იგი უშუალოდ შემთავაზებლის მიერ მეორე მხარისთვის წინასწარ, მრავალჯერადი გამოყენებისათვის დადგენილ პირობებში ჰპოვებს ასახვას.

კონკრეტული პირობიდან გამომდინარე, ის ფაქტი რომ სტანდარტულად პირობა იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი შემთავაზებლის მიერ იქნება მრავალჯერადი გამოყენებისთვის ჩამოყალიბებული, ჰბადებს კითხვას – ხომ არ წარმოადგენს 342-ე მუხლი შემთავაზებლის განუსაზღვრელ უფლებას და მონოპოლიას ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას. საკითხავია შემთავაზებლის კონკრეტული უფლება, ხო მარ ქმნის კაბალური პირობებისთვის სამართლებრივ-სასათბურე პირობებს.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენების საჭიროება დიდწილად მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების გამარტივებით შეიძლება აიხსნას, რაც თავის მხრივ თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბური და რთული ფორმებით აიხსნება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბატონი ლადო ჭანტურია აღნიშნავს, რომ მხარები სტანდარტულ პირობებს ურთიერთობის გამარტივებისა და მასთან დაკავშირებული რთული და ხანგრძლივი პროცედურების თავიდან აცილების მიზნით მიმართავენ რაც თავის მხრივ გარკვეული ხარჯების დაზოგვასაც ემსახურება. [22]

სტანდარტული პირობების სპეციფიკა და არსი მათ მრავალჯერად გამოყენებასა და ერთგვაროვან შინაარსში ჰპოვებს ასახვას[23]. იგი მრავალრიცხვოვან კლიენტთა საქმიანი უერთიერთობების გამარტივებას

[22] იხ. სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებით ჭანტურია ლ. სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, 181-ე და მომდევნო გვერდები;

[23] ჭანტურია ლ. სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 342, გვ. 1

ემსახურება, რა დროსაც შემთავაზებელს შეიძლება ითქვას ანიჭებს პრივილეგიას "ითამაშოს" საკუთარი წესებით.

6.სტანდარტული პირობების მახასიათებელი ნიშნები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სსკ-ის 342 მუხლის 1 ნაწილის თანახმად: ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე სთავაზობს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესების დადგენა.[24] გამომდინარე ამ დეფინიციიდან, ხელშეკრულების პირობები სტანდარტულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ იგი 1) არის სახელშეკრულებო პირობები; 2) არის წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები; 3) არის მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული; 4) შემთავაზებელი მხარის მიერ მეორე მხარისთვისაა წარდგენილი; 5) ადგენს კანონის ნორმებისგან განსხვავებულ ან მათ შემვსებ წესებს. ხელშეკრულების პირობების სტანდარტულობის განსასაზღვრად ზემოაღნიშნული დებულებები უნდა შესრულდეს კუმულატიურად, მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება პირობებს სტანდარტულობის ხარისხი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. სტანდარტული დებულებები, ეს ისეთი დებულებებია, რომლებიც აუცილებლად უნდა გახდეს ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი და არ აქვს მნიშვნელობა თუ ხელსეკრულების რომელ ნაწილს მოიცავს აღნიშნული დებულებები და განსაზღვრებები.

2. ხელშეკრულების პირობები უნდ აიყოს წინასწარ ჩამოყალიბებული. ეს არ არის პირობები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში, არამედ მას შემთავაზებელი წინასწარ აყალიბებს და უკვე ჩამოყალიბებული სახით აწვდის მეორე მხარეს. ეს უკანასკნელი მხოლოდ უნდა გაეცნოს და ხელი მოაწეროს აღნიშნულ პირობებს. არა ქვს მნიშვნელობა სტანდარტული პირობა უშუალოდ ხელსეკრულების ნაწილია თუ დანართისა

[24] სსკ-ის 243 მუხლი.

სახითაა წარმოდგენილი. ასევე არ აქვს მნიშვნელობა ხელშეკრულება შემუშავების ფორმას. სტანდარტული პირობა შესაძლებელია განცხადების სახით იყოს შეთავაზებული სხვადასხვა ფორმით.[25]

3. პირობების სტანდარტულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ისინი გამოცემულ იყოს მრავალჯერ გამოყენებისთვის. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არ იქნება მხოლოს ერთი კონკრეტული გარიგებისთვის, არამედ იგი გამიზნულია მრავალ კონტრაჰენტთან ხელშეკრულების დასადებად.[26] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დეფინიციიდან გამომდინარე არ აქვს მნიშვნელობა იმას, სტანდარტული პირობით მრავალჯერ დაიდება თუ არა ხელშეკრულება, არამედ მნიშვნელობა აქვს განზრახვას. თუ ხელშეკრულების პირობების შემთავაზებელს ჰქონდა განზრახვა, რომ ეს პირობები მრავალჯერ გამოეყენებინა, მაშინ ჩაითვლება, რომ ეს პირობები არის სტანდარტული.[27]

4.ამასთანავე, პირობები მხოლოდ მაშინ ჩითვლება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად, თუკი ხელშეკრულების ერთი მხარე (შემთავაზებელი) წარუდგენს მეორე მხარეს იმ მიზნით, რომ ხელშეკრულება ამ პრინციპის დაცვით დაიდოს[28]. აქ ფიგურირებს ზემოთაღნიშნული „take it or leave it" პრინციპი. ამისათვის საჭიროა, რომ შემთავაზებელმა ხელშეკრულების დადების ადგილას გააკეთოს თვალსაჩინო წარწერა და მიუთითოს ამ პირობებზე, ხოლო ხელშეკრულების მეორე მხარეს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ გაეცნოს ამ პირობების შინაარსს და მიიღოს იგი. სტანდარტული პირობები შეგვიძლია მიღებულად ჩავთვალოთ, თუკი პირმა გამოხატა მისი მიღების პირდაპირი თანხმობა ან თუკი შეასრულა რაიმე ისეთი ქმედება რომლიდანაც მისი აშკარა თანხმობა გამომდინარეობს.

ხელშეკრულების პირობები , მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერადი გამოყენებისთვისაა გამიზნული და წარდგენილია მეორე მხარისთვის არ ჩაითვლება სტანდარტულ პირობებად, თუკი ისინი ფორმით იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ შეუძლია მათი გათვალისწინება. ეს დანაწესი მხარეს იცავს

[25] Zerres, „principles of the German law on standard terms of contract," 5.

[26] ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2 გამოცემა, 2013 წ, გვ 74.

[27] ლ.ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გვ 183

[28] ლ.ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გვ 184

მოულოდნელობებისგან. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ისეთ ფორმაში უნდ აიყოს მოცემული,რომელიც მოსალოდნელი იქნებოდა მხარისათვის ასეთი ხელშეკრულების დროს, მხარეს უნდა ჰქონდეს ასეთი ნდობა.[29] სტანდარტულ პირობად აგრეთვე არ ჩაითვლება ისეთი პირობები, რომლებიც მხარეთა მიერ დეტალურად არის განსაზღვრული.

5.რაც შეეხება კანონით დადგენილი ნორმებისგან განსხვავებულ ან მათი შემვსები წესების დადგენას, სტანდარტული პირობები შეიცავს ისეთ წესებს, რომელიც ხშირად არ არის კანონში გათვალისწინებული და შემთავაზებლის საქმიანობის სპეციფიკას გამოხატავს.[30] (მაგ სუპერმარკეტი მომხმარებლებს აფრთხილოებს, რომ გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება). გარდა ამისა აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ სტანდარტული პირობებით შესაძლებელიამხოლოდ კანონის დისპოზიციური ნორმებისგან განსხვავებული წესების დადგენა, რადგანაც თუკი იგი კანონის იმპერატიულ ნორმებს შეეწინააღმდეგება, მაშინ სტანდარტული დებულებების ბათილობასთან გვექნება საქმე.[31]

7.სტანდარტული პირობების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები

7.1სტანდარტული პირობების გამოყენების უპირატესობები

როგორც ბოლო დროის კვლევები აჩვენებს, ხელშეკრულებათა 99%-ის დადება სტანდარტული პირობების და ფორმის გამოყენებით ხდება[32].

დღევანდელ რეალობაში კომპანიებს არც კი შეუძლიათ საკუთარი ბიზნესის წარმოება აღნშნული სტანდარტული ხელშეკრულების პირობების გარეშე,

[29] ძლიეშვილი/ცერცვაძე/ სვანაძე/ რობაქიძე/ ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 208, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014

[30] ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2 გამოცემა, 2013 წ, გვ 75.

[31] ლ.ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გვ 185

[32] Barnes, „Toward a. Fairer Model of Consumer Assent to Standard Form Contracts: In Defense of Restatement Subsection 211(3),“ 233.

რადგან ასეთ შემთხვევაში მათთვის საჭირო გახდება ყველა გარიგების დროს ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად ათანხმოს პირობები.[33] თეორიულად რომც დავუშათ აღნიშნული ეს გამოიწვევს ეკონომიკური ურთიერთობების კოლაფსს.[34]. ისეთი სახის გარიგებები , რომლებიც იდება ხშირად მხარეებს შორის ითხოვს ისეთი საკითხების რეგულირებას როგორიცაა: რისკის გადასვლა ერთი მხარიდან მეორე მხარეზე, საქონლის მიწოდება, თანხის გადახდის წესი, მხარეთა განცხადებების ფარგლები და საფუძვლები, რომლების არსებობის შემთხვევაშიც შესაძლოა ხელშეკრულება შეწყდეს.[35]

სტანდარტული პირობები აგრეთვე ამცირებს მოლაპარაკების ხანგრძლივობას. ეს ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს გაცილებით სწრაფად, შემთავაზებლის მიერ შემუშავებული შინაარსით. ასევე საგრძნობლად მცირდება ტრანსაქციული ხარჯებიც. საწარმო ზოგავს ამ დროს იურიდიული მომსახურეისა და წარმომადგენლების ხარჯებს , რადგან მხარეებს არ სჭირდებათ ახალი მოლაპარაკებების წარმოება ყოველი ახალი გარიგების დადების წინ. სტანდარტული პირობები ასევე ამცირებს შემთავაზებლის რისკებს, რის ხარჯზეც მომსახურებაზე მცირდება ფასები, ეს კი ასევე მომგებიანია მეორე მხარისთვისაც .[36]

7.2 სტანდარტული პირობების გამოყენების უარყოფითი მხარეები

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებას, რა თქმა უნდა, დადებითთან ერთად აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც.

როდესაც ვსაუბრობთ ამ უარყოფით მხარეებზე, პირველ რიგში უნდა ვახსენით ის გარემოება, რომ მომხმარებელი, დიდი ალათობით, არც კი

---

[33] Zerres, „principles of the German law on standard terms of contract,“ 1

[34] ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი (თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2001), 180-181.

[35] Zerres, „principles of the German law on standard terms of contract,“ 2

[36] Mark R. Patterson, „Standardization of Standard-Form Contracts: Competition and Contract Implications,“William & Mary Law Review, 52, No. 2, (2010): 331.

კითხულობს სტანდარტული პირობების შინაარსს და წაკითხვის შემთხვევაშიც მას არ აქვს იმის უფლება, რომ მასში მოითხოვოს ცვლელებების შეტანა. ერთადართი, რის არჩევანსაც ასეთი ტიპის ხელშეკრულებები უტოვებს მომხმარებელს, არის ის, რომ ან დაეთანხმოს ან საერთოდ უარი თქვას გარიგებაზე.[37]

ასევე, ასეთი ხელშეკრულების დადების დროს ხელშეკრულების გამოყენების დროს ყოველთვისაა რისკი, რომ შემდგენმა მხარემ გაზარდოს საკუთარ უფლებათა წრე, ვალდებულები და რისკები კი ძირითადად დააკისროს მეორე მხარეს და შეძლებისდაგვარად მოიხსნას პასუხიმგებლობა. მაგალითად, სტანდარტულ პირობებში გაწეროს ისეთი პირობები, რომელიც ხელშეკრულების დარღვევისა თუ შეუსრულებლობისთვის მის პასუხისმგებლობის შეზღუდავს ან საერთოდ გამორიცხავს[38]. გარდა ამისა, სტანდარტული პირობის გამოყენებით შესაძლებელია შემთავაზებელმა შეუზღუდოს ან ჩამოართვას მეორე მხარეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ხელშეკრულებიდან გასვლის დროს[39]. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც სწორედ შემთვაზებლის ცალმხრივად დარეგულირებული სტანდრტული პირობების გამო ხელშეკრულების მეორე მხარე ვარდება უსამართლო მდგომარეობაში, ამიტომ აუცილებელია კანონმდებლის მიერ უფრო ნათლად მოხდეს ზემოაღნიშნული საკითხების დარეგულირება და სემუშავდეს ისეთი დებულებები, რომლებიც რისკებსა და საფრთხეებს მაქსიმალურად დაიყვანენ მინიმუმამდე და დაიცავენ ხელშეკრულების მეორე მხარის უფლებებს.[40]

8. სტანდარტული პირობების გამოყენების მიზნები.

როგორც აღვნიშნეთ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები თავისი ფორმითა და არსით ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის შეთავაზებულ,

[37] Patterson, „Standardization of Standard-Form Contracts: Competition and Contract Implications," 332.

[38] Zerres, „principles of the German law on standard terms of contract," 2.

[39] Zerres, „principles of the German law on standard terms of contract," 2.

[40] დ. კაკოიშვილი ნაშრომი „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები", ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, მე–2 გამოცემა, 2013, გვ. 69

მრავალჯერადი გამოყენებისათვის შექმნილ პირობებს წარმოადგენს, რომლებიც თავისი არსით მიზნად ისახავს რთული და მასშტაბური ეკონომიკურ-სახელშეკრულებო, სამართლებრვი ურთიერთობების რაციონალიზებას. როგორც ბატონი გიორგი რუსიაშვილი სამოქალაქო სამართლის 342-ე მუხლის კომენატრში აღნიშნავს, "სტანდარტული პირობების გამოყენება ამარტივებს ხელშეკრულების დადებასა და განხორციელებას". თავის მხრივ კი მათი გამოყენება სახელშეკრულებო ურთიერთობების განხორციელებისას ნაკლებ დროსა და გაწეულ ხარჯს მოითხოვს. აღნიშნული "ეკონომია" მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დრო თანამედროვე ეკონომიკის პირობებში ერთ-ერთ ყველაზე ძვირ ღირებულებას წარმაოდგენს. არღნიშული "ეკონომია" ხელს უწყობს მხარეებს თითოეული ტრანზაქციის თუ სამართლებრივი საკითხის უმოკლეს დროში განხორციელებაში, მაშინ როდესაც სხვა შემთხვევაში მხარეები იძულებულნი იქნებოდნენ თითოეული საკითხი დაწვრილებით გაევლოთ და შეეთანხმებინათ.

საკითხავია ის ფაქტი რამდენად კეთილსინდისიერად იყენებს შემთავაზებელი კანონით მისთვის მინიჭებულ ამ პრივილეგიას, ჰქონდეს მონოპოლია მეორე მხარესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მაშინ, როდესაც ხელშეკრულების პირობების განსაზღვრასთან გვაქვს საქმე. საინტერესოა რეგულატიური ვაკუუმის აღმოფხვრა რამდენად ახდენს უარყოფით გავლენას "უყურადღებო" ან გამოუცდელ კლიენტებზე, მაშინ როდესაც ე.წ "წვრილად დაბეჭდილი პირობები" ხშირ შემთხვევაში შეთავაზების მიმღების ყურადღებას იშვიათად და ნაკლებად იქცევს. ერთი მხრივ რეგულატიური ვაკუუმის აღმოფხვრა, რაც ჩემი აზრით საკმაოდ ნათელი და კეთილშობილი მიზანია სამართლებრივ სივრცეში და ქმნის სამართლის გაჯანსაღების და სოციუმზე მორგების შესაძლო პრეცენდენტს, რამდენად უქმნის საფრთხეს კლიენტთა წრეს არაკეთილსინდისიერი შემთავაზებლის მხრიდან. როგორც ყოველთვის ამ "სამართლებრივ მონეტასაც" (ვგულისხმობ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს) ორი მხარე აქვს. შეცდომა და სამართლებრივი სიბრმავე იქნებოდა მხოლოდ ამ უკანასკნელთა დადებით მხარეზე აპელირება, იმდენად რამდენადაც არც თუ იშვიათია ფაქტი როდესაც შემთავაზებელი "წვრილად დაბეჭდილ" სტანდარტულ პირობებს მაქსიმალურად არგებს საკუთარ ინტერესებს და შეთავაზების მიმღებისაგან ხელშეკრულებით მაქსიმალურ სარგებლის მიღებას ცდილობს, იგი მოქმედებს სამართლის ამკრძალავი საზღვრების მაქსიმუმით ისე

რომ არ სცდება მათ და არ ქმნის სამართლებრივ საფუძველს ე.წ სტანდარტული პირობების კაბალურ პირობებად აღიარებისა.

ზემოხსენებული თეორიის უკეთ აღსაქმელად შეიძლება წამოვიდგინოთ სამართლებრივ-ეკონომიკურ ბაზარზე არსებული საბანკო სექტორი, რომელიც საერთო, მყარად დადგენილ საერთო სტანდარტულ პირობებს იყენებდა, რაც ხშირ შემთხვევაში კლიენტი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობადმე მიჰყავდა. მიუხედავად სტანდარტული პირობების მოქნილი და დადებითი ხასიათისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი დღევანდელი "სამართლებრივი ზურგით" შემთავაზებელს უფლებას აძლებს მეორე მხარეს წაუყენოს "ულტიმატუმი" შემდეგი ფორმულირებით – გინდა მიიღე, არ გინდა წადი. ეს ყოველივე კი შეთავაზების მიმღებისთვის მძიმეა იმდენად, რამდენადაც მას ალტერნატიული პირობების მიღების შესაძლებლობა ბაზარზე არ გააჩნია. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ სტანდარტული პირობები ერთის მხრივ წარმოადგენს არსებულ ეკონომიკურ-სამართლებრივ "ციებცხელების" დიდ სამართლებრივ სიკეთეს, მეორე მხრივ კი ვთვლი რომ მასზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს და მაქსიმალურად დავიდეს მომხარებლისა და შემთავაზებლის სახელშეკრულებო თანაბარ უფლებებზე სადაც ეს უკანასკნელი არ დაკარგავს თავის არსს, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული, შემთავაზებლის მიერ დადგენილი პირობები, რომლებიც ემსახურებიან კანონით დადგენილი ნორმებისაგანგანსხვავებული ნორმების ან მათი შემვსები წესების დადგენას სამართლებრივ სივრცეში".

მიუხედავად ზემოხსენებულისა სტანდარტული პირობა და მისი სამართლებრივი გაჯანსაღება არ შეიძლება იქცეს შემთავაზებლის უფლებების უპორობო და სრულ შეკვეცად. იგი არ შეიძლება შემთავაზებლის სამართლებრივ გილიოტინად იქცეს, ისევე როგორც ეს დაუშვებელია შეთავაზების მიმღების შემთხვევაში.

რაც შეეხება შემდგომ მიზანს იგი შემთავაზებლის ერთგვარ დაცვის მექანიზმად შეიძლება განვიხილოთ. გამომდინარე იქიდან რომ თანამედროვე სამართლებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებში შემთავაზებლად ხშირად მსხვილი კომპანიები გვევლინებიან, რომლებსაც თავის მხრივ "ლომის წილი" შეაქვთ სახელმწიფო ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში, კანონი მაქსიმალურად ცდილობს მათთვის გარკვეული სამართლებრივი გარანტიებისა თუ სტაბილურობის შექმნას. სწორედ აღნიშნული გარემოება შეიძლება მივიჩნიოთ რისკის გადაკისრებისგან დამცავ მიზნად.

9. სტანდარტული პირობების სისტემატიკა

მიუხედავად 342-ე მუხლში განვითარებული აზრისა, სამოქალაქო კოდექსი 343-ე და შემდგომი მუხლებით ცდილობს ერთგვარი ბალანსი დაადგინოს შემთავაზებელსა და შეთავაზების მიმღებს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაში. კონკრეტული მუხლები ავითარებს სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად პრიცნიპს, სახელშეკრულებო თავისუფლებას, სადაც მაქსიმალურადაა ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ინტერესები დაცული. კონკრეტული მუხლებით კანონმდებელი ცდილობს შემთავაზებლის სახელშეკრულებო მონოპოლიის თავიდან აცილებას და ერთგვარი ბალანსის, სამართლებრივი ოქროს შუალედის დადგენას ხელშერულების მხარეთა შორის.

სწორედ აღნიშნულ მიზნას ემსახურება კანონმდებლობის მცდელობა, დაუდგინოს შემთავაზებელს ერთგვარი სამართლებრივი საზღვრები და განუსაზღვროს სტანდარტული პირობების შინაარსი. კანონმდებელი 343-ე - 348-ე მუხლებით შემთავაზებელს უდგენს სტანდარტული პირობებიდან „სარგებლის მიღების“ ზღვარს. აქ სახეზეა გარკვეული სახელშეკრულებო თავისუფლების განსაზღვრული მაქსიმუმი, რომლის ფარგლებს გარეთაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობები კაბალურ პირობად ჩაითვლება.

მიუხედავად ასეთი განსაზღვრისა არის შემთხვევები, როდესაც შემთავაზებელი სტანდარტულ პირობას უალტერნატივო, ამკრძალავ ზღვართან მაქსიმალურად მიახლოვებულ პირობად აქცევს და ცდილობს მაქსიმალური სარგებლის მიღებას. სწორედ აღნიშული კაბალურ პირობასთან მიახლოვებული[41] პირობებისაგან დაცვას ცდილობს 343-ე - 348-ე მუხლები.

მსგავსი შემთხვევები ხშირია საბანკო სექტორთან არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებში, როდესაც მომხარებელი ნაკლებ ყურადღებას უთმობს „წვრილად დაბეჭდილ სტანდარტულ პირობებს“.

კოდექსის 343-ე - 348-ე მუხლები შედგება გენერალური დათქმისა და აკრძალული სტანდარტული პირობების კატალოგისაგან. სწორედ ზემოხსენებულ მუხლებში მოცემული სტანდარტული პირობების დანაწესების

[41] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 8.

გარდა დაუშვებელი სტანდარტული პირობებისაგან კლიენტის დაცვას ემსახურება მხარეთა შორის ინდივიდუალური პირობების უპირატეოსიბს დათქმა, როდესაც მხარეთა შორის შეთანხმებას უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობასთან მიმართებით.

10.სტანდარტული პირობების გამოყენების წინაპირობები

10.1 სტანდარტულ პირობები, როგორც ხელშეკრულების პირობები

მიუხედავად სახელწოდებისა „სტანდარტული პირობები", არშეიძლება ეს უკანასკნელნი ხელშეკრულების ძირითად, მთავარ და ერთადერთ ნაწილად, ცენტრად თუ სამართლებრივ ბირთვად აღიქმეოდეს. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართლებრივი დანიშნულება, როგორც ბატონი გიორგი რუსიაშვილი აღნიშნავს, „ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრაა".[42] ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, როგორც წესი, ხელშეკრულების სრულყოფისაკენ მიმართულ, მაკონკრეტებელ პირობებადაც შეგვიძლია განვიხილოთ იმდენად, რამდენადაც მათი მიზანი ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრაა. სწორედ აღნიშნულ თვისებაში ჰპოვებს ასახვას შემთავაზებლის სახელშეკრულებო თავისუფლება და კერძო ავტონომია. როგორც სამართლებრივ წრეებში აღნიშნავენ „ამ პირობების მოქმედება განპირობებულია ხელშეკრულების ნაწილად ქცევით და მათი გამოყენება წარმოადგენს შემთავაზებლის კერძო ავტონომიის ნაწლს.[43]

მოცემული დათქმის მიხედვით შეიძლება გაჩნდეს შთაბეჭდილება, რომ იქმნება საფრთხე შემთავაზებელმა ისარგებლობს სახელშეკრულებო

[42]რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 9.

[43] Canaris Gesamtunwirksamkeit und Teilgültigkeit rechtsgeschäftlicher Regelungen, FS Steindorff (1990), 548. (რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 9)

თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის პრინციპების არაკეთილსინდისიერად გამოყენებით და ამით მეორე მხარე ჩააყენოს მძიმე მდგომარეობაში. შეუზღუდოს იგივე პრინციპებით სარგებლობა, რამდენადაც სტანდარტულ პირობებზე შეთანხმება ავტომატურად გამოიცხავს მათ შემდგომ გამოყენებას. აღნიშნული გარემოება კი შეთავაზების მიმღებს სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის საფრთხის ქვეშ აყენებს იმდენად, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში არ არსებობს მისაღები ალტერნატივა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში განვითარებული მოსაზრების თანახმად სტადარტული პირობები ერთგვარ სამართლის ნორმის სოციალურ ფუნქციას ასრულებს და ისინი თავად არ წარმოადგენენ სამართლის ნორმებს. მოცემული მსჯელობის მიხედვით ვითარდება აზრი, რომ კონკრეტული სახის პირობები არა სამართლის ნორმების არამედ მათ შემვსებ დანამატს წარმაოდგენენ, რომელიც არ მოდის სამართლის პრინციპებთან წინააღმდეგობაში, არამედ ცდილობს ხელშეკრულების მხარეებს ხელი შეუწყოს სრულყონ ხელშეკრულების შინაარსი.[44]

ამდენად ვითარდება აზრი, რომ სტანდარტული პირობა წარმოადგენს ხელშეკრულების შინაარსის მომწესრიგებელ საშუალებას, რომელიც მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის ჩამოყალიბების ეტაპზე მათ შორის უერთიერთობის კონსტრუირებას ემსახურება.

თავის მხრივ, სტანდარტული პირობის შინაარსი არ არის მკაცრად კანონით განსაზღვრული და იმპერატიულად დადგენილი. კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებელი შემთავაზებელს თავისუფლებას ანიჭებს, სტანდარტული პირობა ხელშეკრულების დამატებით თუ ძირითად ვალდებულებების განმსაზღვრელ სამართლებრივ მექანიზმად გამოიყენოს.

ბატონი გიორგი რუსიაშვილი სსკ-ის 342-ე მუხლის კომენტარებისას ავითარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც სტანდარტული პირობები შეიძლება ხელშეკრულების დადების პირობებსაც განსაზღვრავდნენ.[45] მოცემული პრაქტიკას იზიარებს გერმანული სამართლებრივი სივრცე სადაც სტანდარტული პირობები არა მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსის განმსაზღვრელ, არამედ კანონისმიერი ურთიერთობის მომწესრიგებელ

[44] BGH 9, 3

[45] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 24.08.2016, მუხლი 342, ველი11.

საშუალებად გამოდის,[46] იგი აწესრიგებს, როგორც პროცესუალურ ასევე ცალმხრივ გარიგებებს.[47]

10.2 სტანდარტული პირობა როგორც მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობა.

სამოქალაქო კოდექსი სტანდარტულ პირობებს მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულ პირობებად მოიხსენიებს. თავის მხრივ საინტერესოა ფაქტი თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს მრავალჯერად გამოყენებად. არის თუ არა კონკრეტული შეფასება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და რამდენად სუბიექტურად უნდა აღიქმეოდეს მრავალჯერადი გამოყენების დეფინიცია. ზემოხსენებულთან დაკავშირებით უშუალოდ მუხლი არ განმარტავს თუ რა შეიძლება იქნეს მრავალჯერადად მიჩნეული. აქ საკითხი თითქოს შეფასებით ასპექტში გადადის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გემრანულ სამართლებრივ სივრცეში კონკრეტულ საკითხზე მრავალჯერად გამოყენებად შეფასებულია სტანდარტული პირობების მინიმუმ სამჯერ გამოყენება.[48]

მოცემულ მოსაზრებას ავითარებს სსკ-ის 342-ე მუხლი კომენტარში ბატონი გიორგი რუსიაშვილი, რომელიც სტანდარტული პირობების მინიმუმ სამჯერ გამოყენებას შემთავაზებლის მიერ მათ მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნულად მიიჩნევს. აქვე ავითარებს მსჯელობას, რომ კონკრეტულ საკითხში გადამწყვეტ როლს შემთავაზებლის განზრახვა თამაშობს.[49] მოცემული მიდგომა საკითხისადმი შეიძლება კონკრეტული არაკეთილსინდისიერი შემთავაზებლის მიმართ ერთგვარ ლავირების საშუალებად იქცეს მაშინ, როდესაც ხელშეკრულებაში შეთავაზების მიმღები

---

[46] BGHZ 100, 157; BGH NJW 1986 2757

[47] BGH NJW 2002, 138., BGHZ 98, 28. (რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, გვ.11)

[48] BGH NJW, 2002, 138.

[49] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 13.

ცდილობს შემთავაზებლის მხრიდან თავისთვის უფრო სასურველი პირობების მიღებას და არა კონკრეტულად ამ უკანასკნელის მიერ წინასწარ ჩამოყალიბებული პირობების უაპელაციოდ შესრულებას.

მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა კანონმდებელს აღნიშნული საკითხის მოგვარება არა პირის არსებულ თუ სამომავლო განზრახვაზე, არამედ მისი საქმიანობის სტილსა და ხასიათზე დაემყარებინა. მაგალითად, როდესაც პირი ეწევა გარკვეულ კომერციულ საქმიანობას, ნათელია რომ იგი მის მიერ ჩამოყალიბებულ თუ უკვე არსებულ სტანდარტულ პირობებს მრავალჯერადი გამოყენებისთვის მიმართავს, იმდენად, რამდენადაც იგი კომერციულ საქმიანობას ახორციელებს და აქვს ხშირი სახელშეკრულებო ურთიერთობები. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, სადაც სტანდარტული პირობის დადგენა პიროვნების განზრახვაზეა დამოკიდებული, აქ შეიძლება სახეზე იყოს არაკეთილსინდისიერი პირის სურვილი, მოახვიოს შემთავაზების მიმღებს მისთვის ცალმხრივად სასურველი პირობები, მათი მრავალჯერადი გამოყენების განზრახვის საფარ ქვეშ. მითუმეტეს მაშინ, როდესაც კანონი მრავალჯერად გამოყენებებს შორის არ ადგენს დროის აუცილებელ ინტერვალს. ამდენად სტანდარტული პირობის კლასიფიკაცია მხოლოდ პოროვნების განზრახვით არ მიმაჩნია კონკრეტული საკითხის ამომწურავ ჩამოყალიბებად. იგივე შეიძლება ითქვას სხვის მიერ ჩამოყალიბებულ მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულ პირობებზე, რომელსაც მხარე თავის მხრივ ერთხელ იყენებს იმ საფუძვლით, რომ მას აქვს განზრახვა და კანონმდებელს კი მოლოდინი, რომ ეს უკანასკნელი არსებულ პირობებს სამომავლოდაც გამოიყენებს სხვადასხვა თუ ერთსა და იმავე კლიენტთან.[50]

10.3 სტანდარტული პირობის წაყენების ფორმა

მას შემდეგ, რაც გადაწყდება ხელშეკრულების სტანდარტული პირობის გამოყენება, საჭიროა მისი მომხმარებლისათვის შეთავაზება, რომელსაც სამართლებრივ ლიტერატურაში „წაყენებად“ მოიხსენიებს. თავის მხრივ კი წაყენება წინასწარ ჩამოყალიბებული პირობების ჩართვას და შეთავაზებას

[50] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 13.

გულისხმობს. აქ კანონმდებელი ხაზს უსვამს, რომ პირობა მხოლოდ მაშინ იქნება სტანდარტული ზემოხსნებული გამოყენების ინტენსივობისა და განზრახვის გათვალისწიებით, თუ იგი შემთავაზებლის მიერ ისეა ჩამოყალიბებული, რომ იგი არ წამოადგენს მხარეთა შორის შეთანხმებით განსაზღვრულ პირობას.[51] აქვე კანომდებელი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება, რომელიც სტანდარტულ პირობებს აყენებს შეიძლება შიცავდეს სტანდარტული პირობების ერთგვარ ალტერნატივას, რომელიც ასევე შემთავაზებლის მიერ, შეთავაზების მიმღებისაგან დამოუკიდებლად, წინასწარ და მრავალჯერადი გამოყენებისთვის უნდა იქნას ჩამოყალიბებული. [52]

ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, რომ კონკრეტული პირობები მაშინ იქცევა სტანდარტულად თუ მას ყველა წესის დაცვით ჩმოაყალიბებს და შესთავაზებს მხარეს შემთავაზებელი. საკითხის მსგავსი აღქმა დაარღვევდა, როგორც კერძო ავტონომიის ასევე სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რამეთუ ხელშეკრულების მხოლოდ ერთ მხარეს მისცემდა აბსოლიტურ სახელშეკრულებო ძალაუბლებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა გადაწყვეტილებით №ას-1225-1245-2011[53] ცალსახად აღნიშნავს, რომ შემთავაზებელის როლში, უფრო სწორად კი სტანარტული პირობების განმსაზღვრელი და შემთავაზებელი შეიძლება არა მხოლოდ მეწარმე არამედ თავად მომხარებლიც იყოს.

მოცემულ საქმეზე სასამართლო ავითარებს აზრს, რომ სტანდარტული პირობის დადგენა-შეთავაზება არ წარმოადგენს მეწარმის, სტანდარტულად ბაზარზე გაბატონებული პირის პრივილეგიას და იგი მომხარებლის მიერ შეიძლება ისევე იქნას გამოყენებული, როგორც ამას შემთავაზებელი გამოიყენებდა.

[51] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 14.
[52] BGHZ 130, 57.
[53] სუსგ №ას-1225-1245-2011

10.4 სტანდარტული პირობის ფორმა და მოცულობა

რაც შეეხება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ფორმასა და მოცულობას, აქ კანონმდებელი მხარეს სრულ თავისუფლებას ანიჭებს, იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელნი თავისი არსით არა ნორმას არამედ ხელშეკრულების შინაარსის განმსაზღვრელ სამართლებრი საშუალებას წარმოადგენენ.

სტანდარტული პირობების წარდგენის ფორმას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იმპერატიული ფორმით არ განსაზღვრავს. აქ კანონმდებელი შემთავაზებელს მათი წარდგენის თავისუფალ არჩევანს სთავაზობს. ის თუ რა ფორმით იქნება ეს უკანასკნელი წარდგენილი სწორედ შემთავაზებლის სურვილზეა დამოკიდებული. ხშირია შემთხვევა, როდესაც ეს უკანასკნელი შეიძლება ერთი წინადადებით გამოიხატებოდეს და უბრალოდ გამოკრული იყოს ამა თუ იმ ადგილას. მსგავს პირობად შეიძლება მივიჩნიოთ დათქმა სავაჭრო ცენტრში, სადაც თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია "გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება".[54] სტანდარტული პირობა შეიძლება დანართში იყოს გათვალისწინებული და ხელშეკრულებას ახლდეს თან.

კანონმდებელი ასევე არ ადგენს სტანდარტული პირობების ჩამოყალიბების სტანდარტს, თუ რა ფორმით რა ზომით და მოცულობით უნდა იქნეს ეს უკანასკნელი შეთავაზებული. მოცემული საკითხი ვფიქრობ გარკვეული პრობლემატიკის მატარებელია, იმდენად რამდენადაც შემთავაზებელი ხშირ შემთხვევაში, სტანდარტულ პირობებს უაპელაციოდ სთავაზობს მიმღებ მხარეს. მოცემულ გარემოებას ემატება ის ფაქტიც, რომ შემთავაზებელი ამ ყოველივეს საკუთარი სტანდარტით ახდენს. მისთვის უფრო მეტად მისაღები ფორმით. სახელშეკრულებო ურთიერთობები ყოველდღიურების განუყოფელი ნაწილია და სწორედ ამ ურთიერთობებში ხშირად ვხვდებით "წვრილად დაწერილ" სტანდარტულ პირობებს, რომლებიც დიდი ალბათობით მომხარებლის, შემთავაზებლის ყურადღების მიღმა რჩება. სწორედ ყურადღების მიღმა დარჩენილი სტანდარტული პირობები შეიძლება იქცეს მომხარებლისათვის კანონის ფარგლებში არსებულ გამოუწსორებელ შედეგებად.

---

[54] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 16.

თავისუფალი სახელშეკრულებო გარემო მოითხოვს ფრთხილ და კორექტულ მიდგომას კანონმდებლის მხრიდან, რათა არ მოხდეს კერძო ბიზნესის არამართლზომიერი შეზღუდვა, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელ პირობად მიმაჩნია სავაჭრო-ეკონომიკურ უერთიერთობებში თუ სხვა სამართლებრივ ხელშეკრულებებში გარკვეული დამატებისა თუ რეგულაციის შეტანა რომელიც კანონმდებლის მხრიდან კონკრეტულ შემთავაზებლებს განუსაზღვრავს სტანდარტული პირობების წარდგენის ფორმას, მაგრამ არა მოცულობას. არ შეიძლება კონკრეტული სუბიექტი სტანდარტული პირობის წარდგენის ფორმას სამართლებრივ ურთიერთობაში პრივილეგირებული პოზიციის მისაღებად იყენებდეს. დაუშვებელია სტანდარტული პირობის ფორმა მომხმარებლის, შეთავაზების მიმღების ყურადღების მიღმა რჩებოდეს მხოლოდ იმის გამო რომ, იგი "წვრილად დაწერილ" პირობად ყალიბდება. ამდენად მიმაჩნია, რომ კანონმდებელი უნდა ადგენდეს სტანდარტული პირობის წაყენების ფორმას და ამ უკანასკნელისთვის განმსაზღვრელი მისი მკაფიოობა და აღქმადობა უნდა გახდეს. შეთავაზების მიმღებს უნდა შეეძლოს სტანდარტული პირობების ფორმის თვალსაჩინოდ აღქმა.

10.5 სტანდარტული პირობები, როგორც კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესები.

სსკ-ის 342-ე მუხლის დეფინიციით სტანდარტული პირობები კანონით დადგენილი ნორმების ალტერნატიულ ან მათ შემვსებ წესებს შეიცავენ. მათი ფუნქცია იმ სამართლებრივი დისპოზიციის სრულყოფაა, რომელიც თავის მხრივ საკითხის სრულ და ამომწურავ სამართლებრივ მოწესრიგებას ვერ უზრუნველყოფს. სწორედ სტანდარტული პირობები წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების იმ ალტერნატივასა და შემვსებ წესებს, რომელიც არ არის კანონით გათვალისწინებული და შემთავაზებლის საქმიანობის სპეციფიკას გამოხატავს.[55] კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებელი კანონის დისპოზიციური ნორმების ჩანაცვლებას გულისხმობს და ხაზს უსვამს

[55] ჭანტურია,სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 342, გვ. 184.

იმპერატიული ნორმების შეცვლის დაუშვებლობაზე, რაც მსგავს პირობას ბათილად აქცევს. თავის მხრივ კიარ ცვლის, არამედ მისი გავრცობის ფუნქციასაც ითავსებს. ისეთი სტანდარტული პირობა კი, რომელიც კანონის ნორმებს იმეორებს, სასამართლოს მხრიდან შინაარსობრივ კონტროლს აღარ ექვემდებარება. [56]

10.6 მხარეების მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრული პირობები

სტანდარტული პირობის ინდივიდუალურ პირობად გადაქცევისათვის აუცილებელ წინაპირობად სსკ-ის 342-ე მუხლი ხელშეკრულების მხარეთა შორის ხელშეკრულების პირობებზე დეტალურ შეთანხმებას მიიჩნევს. სწორედ მხარეთა შორის ხელშეკრულების პირობებზე დეტალური შეთანხმება გამორიცხავს სტანდარტული პირობების ფუნქციურ მრავალჯერად გამოყენებას. იმდენად, რამდენადაც სტანდარტული პირობები შემთავაზებლის მიერ მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დისპოზიციური ნორმების ჩამნაცვლებელ თუ შემვსებ პირობებს წარმოადგენს, მათი გამოყენება ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაზე უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ მხარეთა შორის ხელშეკრულების პირობებზე დეტალური შეთანხმება, თუნდაც ისინი თავდაპირველად სტანდარტულ პირობებად ყოფილიყო ჩამოყალიბებული, ამ უკანასკნელთ ინდივიდუალურად განსაზღვრულ პირობებად აქცევს. სწორედ ეს მიზეზი გამორიცხავს სტანდარტული პირობისათვის დამახასიათებელ ნიშანს, მრავალჯერად გამოყენების მიზანს.[57]

როგორც უკვე აღვინშნეთ სტანდარტულად ჩამოყალიბებულ თავდაპირველ პირობებზე მხარეთა შორის დეტალური შეთანხმება ინდივიდუალური პირობების წარმოქმნის საფუძველია, თუმცა მხარეთა შორის სტანდარტული პირობების გარკვეულ დათქმებზე შეთანხმება ამ უკანასკნეთ

[56]რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 18.

[57] ჭანტურია,სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 342, გვ. 185.

ინდივიდუალურ პირობებად ვერ გადააქცევს. ამგვარ დათქმად შეიძლება ხელშეკრულებაში ჩაწერილი პირობა წარმოადგენდეს, სადაც წერია რომ "მხარე ეთანხმება შემთავაზებლის მიერ წარმოდგენილ პირობებს" ან დათქმა, რომლის მიხედვითაც "პირობები მხარეების მიერ ერთობლივად იქნა განსაზღვრული".[58]

ინდივიდუალურ პირობად არ შეიძლება განვიხილოთ ხელშეკრულების ისეთი სტანდარტული პირობა, რომელიც შეთავაზებლის მიმღებს ფორმულარზე გაკეთებული დათქმით ცალკეული ნაწილების შეცვლის ან ამოშლის უფლებას ანიჭებს. მოცემული ფორმულირება წარმოადგენს შემთავაზებლის მიერ წინასწარ ჩამოყალიბებულ სტანდარტულ პირობას, რომელსაც იგი შესაძლოა მრავალჯერადად იყენებდეს სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.[59]

სსკ-ის 342-ე მუხლის კომენტარებისას ბატონი გ. რუსიაშვილი ხაზს უსვამს, რომ სტანდარტული პირობის ინდივიდუალურად გადაქცევისათვის საჭიროა შემთავაზებლის მზაობა, მოახდინოს პირობის რეალური ცვლილება და შეთავაზების მიმღებს მისცეს რეალური შესაძებლობა მიიღოს მონაწილეობა პირობის შეცვლის პროცესში. მოცემულ შემთხვევაში შემთავაზებელი უნდა გამოთქვამდეს პირობის შეცვლის რეალურ მზაობას და შეთავაზების მიმღებისთვის ინფორმაციის დროულ მიწოდებას.[60] მოცემულ შემთხვევაში შემთავაზებლის მხოლოდ სუბიექტური განცდა, შინაგანი სურვილი შეთავაზების გაკეთებისა არ ქმნის სტანდარტული პირობის ინდივიდუალურად გადაქცევის საკმარის საფუძველს. კანონმდებელი ამისათვის სურვილის ობიექტურ გამოხატვას ადგენს აუცილებელ პირობად. საკითხი კონკრეტულ შემთხვევაში ქმედით ნაბიჯებზე გადის.[61] სურვილი და მისი გაჟღერება არასაკმარისია თუ იგი ქმედითი, აქტიური სამართლებრივი ნაბიჯებით არაა გამყარებული. თავის მხრივ კი "სამართლებრივ ნაბიჯებში" შეთავაზების მიმღების რეალური შესაძლებლობა იგულისხმება, მიიღოს ინფორმაცია შემთავაზებლისაგან და მოახდინოს ინფორმაციის საფუძველზე შემთავაზებელთან კონკრეტულ

[58] BGH NJW 1977, 432.
[59] BGHZ 1998, 28.
[60] BGH NZM 2016, 408.
[61] BGHZ 85, 308; BGHZ 104 236; BGH NJW 1992, 1107. მით:რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 20

პირობებზე შეთანხმება, რომლებიც ინდივიდუალრად განსაზღვრულ პირობებად იქცევა.

კანონმდებელი ინდივიდუალური პირობად სტანდარტული პირობის გადაქცევას შემთავაზებლის რეალურად გამოთქმულ მზადყოფნასა და მეორე მხარის მოლაპარაკებაში მონაწილებოსი მიღების რეალურ შესაძლებლობაზე ამყარებს.[62]

საკითხავია იქცევა თუ არა სტანდარტულ პირობად შეთავაზებული პირობები მოლაპარალების შემდეგ ინდივიდუალრ პირობად, მაშინ როდესაც ისინი მოლაპარაკების შემდეგ შეთავაზების მიმღების გადაწყვეტილებით არ შეიცვლება და ისევ განხილვამდე არსებული ფორმულირებითა თუ შინაარსით დარჩება ხელშკრულებაში. გერმანული სამართლის სისტემა მოცემულ შემთხვევაში აყალიბებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც შეთავაზების მიმღები, რომელმაც განიხილა სტანდარტული პირობები და მისი უცვლელად დატოვება გადაწყვიტა, უნებურად ამ უკანასკნელთ ინდივიდუალურ პირობებად აქცევს, იმდენად რამდენადაც მოიწონა შეთავაზებული პირობები, შევიდა არჩევანში და გადაწყვიტა მიეღო ისინი, რამეთუ ვერ ან არ გამოძებნა უკეთესი ალტერნატივა.[63] კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებელი შეთავაზების მიმღების უფლების რეალიზებას უსვამს ხას და აღნიშნავს, რომ მხარეს შესაძლებლობა ქონდა განეხილა შეთავაზებული პირობები და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება მათი შეცვლის და მისთვის მისაღები ფორმულირების შესახებ. სწორედ ამ შესაძლებლობის გამოყენებას წარმოადგენს თავის მხრივ სტანდარტული პირობების უცვლელად დატოვება.

10.7 ინდივიდუალური პირობების უპირატესობა სტანდარტული პირობების წინაშე

კანონმდებელი 342-ე მუხლით სტანდარტული პირობისა და ინდივიდუალურად შეთანხმებულ პირობებს შორის შეფასებისას უპირატესობას

[62] Heinrichs, in Palandt BGB Komm., 70. Aufl. 2011, Art. 305 Rn. 22
[63] BGHZ 84, 111.

ინდივიდუალურად შეთანხმებულ პირობებს ანიჭებს. ინდივიდუალურად შეთანხმებულ პირობას უპირატესობა ენიჭება იმენად, რამდენადაც კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა საუკეთესო ინტერესები და მინიმუმადეა შემთავაზებლის მიერ მისთვის სასურველი სტანდარტულ პირობებად ჩამოყალიბებული პირობების მეორე მხარესათვის თავზე მოხვევა. სწორედ აღნიშნული საფუძვლით ინდივიდუალურად განსაზღვრული პირობის გაუქმება "წვრილი შრიფტის" მეშვეობით შეუძლებელი უნდა იყოს.[64]

10.7.1.ფუნქციურ-რანგობრივი მიმართება

კანონმდებელი სიფრთხილით უდგება პირობათა უპირატესობის საკითხის განხილვას და კონკრეტულ საკითხს პირობათა რანგობრივი კუთხით განიხილავს. კანონმდებელი აღნიშნავს, რომ ნამდვილი ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობა გამორიცხავს თავის მხრივ, ნამდვილ სტანდარტულ პირობას იმდენად, რამდენადაც მხარეთა შეთანხმებით იქნა ინდივიდუალური პირობა ხელშეკრულების ნაწილად ქცეული. რაც შეეხება ბათილ ინდივიდუალურ პირობას აქ მის ადგილს ნამდვილი სტანდარტული პირობა იკავებს რითაც კანონმდებელი კიდევ ერთხელ უსვავს ხაზს საკითხისადმი "ფუნქციურ რანგობრივი"[65] მიმართებით გადაწყვეტილების მიღებას. ბატონი გიორგი რუსიაშვილი 342-ე მუხლის კომენტარებისას გამოთქვამს მოსაზრებას, სადაც ინდივიდუალური პირობის ბათილობისას, მათი ადგილის კანონისმიერი წესების მიერ დაკავებას არასწორად მიიჩნევს. კონკრეტული მიდგომა წარმოადგენს სწორ ანალიზს იმდენად რამდენადაც მოცემულ საკითხში საჭიროდ მიმაჩნია მხარეთა შორის ახალი შეთანხმების ანდა ინდივიდუალურ პირობათა ჩამოყალიბებამდე არსებული სტანდარტული პირობების მიერ ბათილად ცნობილი ინდივიდუალური პირობების ადგილის დაკავება.

---

[64] Knops, Die „weite" Sicherungszweckerklärung des persönlich schuldenden Eigentümers in der AGB-Kontrolle, ZIP 2006, 1965; რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 24.

[65] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, გვ. 10.

სწორედ სტანდარტულ და ინდივიდუალურ პირობებს შორის კოლიზია აძლევს ინდივიდუალურად შეთანხმებულ პირობებს ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედების უპირატესობას და სტანდარტულ პირობას ართმევს ამ მხარეთა შორის ჩამოყალიბებულ პირობათა მოდიფიცირების ან გაუქმების საფუძველს.

სტანდარტული და ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილადაა ქცეული, იქნება ეს ნარდობა, სასესხო თუ ნასყიდობის ხელშეკრულებები. კანონმდებელი თითოეული მათგანის განხილვისას უპირატესობას ანიჭებს მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს.

კანონმდებელი 342-ე მუხლის სამართლებრივ დეფინიციაში მტკიცების ტვირთის გადაკისრებას ახდენს მხარეზე, რომელსაც კონკრეტული სტანდარტული თუ ინდივიდუალირი პირობების მიმართ გარკვეული უკმაყოფილება თუ პრეტენზია უჩნდება.

მტკიცების ტვირთი სტანდარტულ პირობასთან დაკავშირებით წარმოადგენს მეორე მხარის ზრუნვის სფეროს, მხარისას რომელსაც სურს სსკ-ით გათვალისწინებული დაცვითი მექანიზმების ამოქმედება.[66]

11. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად

ხელშეკრულბის სტანდარტული პირობების დანიშნულება საბოლოოდ მაინც ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაქცევაში ჰპოვებს ასახვას. შეიძლება ითქვას რომ მათი ერთ-ერთი ფუნქციური დანიშნულება სწორედ ხელშეკრულების ძირითად ნაწილში განსხეულებაა. კანონმდებელი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ხელშეკრულების ნაწილად გადაქცევის ზღვარს შემთავაზებლისა და შეთავაზების მიმღებს შორის არსებულ ურთიერთობაზე ხდის დამოკიდებულს. კანონმდებელი სსკ-ის 343-ე მუხლის დეფინიციაში კონკრეტული

[66] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305Rn. 38.

სტანდარტული პირობების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაქცევას სწორედ შემთავაზებლის მეირ აშკარად და მკაფიოდ გამოთქმულ ინიციატივას უკავშირებს, რა დროსაც შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების ადგილას თვალსაჩინოდ, წარწერის გაკეთებით მიუთითებს სტანდარტული პირობების ხელშეკრულების ძირითად ნაწილად გადაქცევის მზაობაზე. მოცემული მოქმედება ვერ ქმნის საკმარის სამართლებრივ საფუძველს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობათა ხელშეკრულების ნაწილად გადაქცევისთვის. ამ უკანასკნელისათვის კანონმდებელი შეთავაზების მიმღების ნებას, პირობათა "სახეცვლის" მთავარ ასპექტად განიხილავს. კანონმდებელი აღნიშნავს, რომ მორე მხარეს შეთავაზების გაცნობის და მზაობის შემთხვევაში მიღებით უჩნდება შესაძლებლობა სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ძირითად ნაწილად აქციოს.

ზემოხსენებული რეგულირების ფორმა მიმართულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაქცევისაკენ, რათა მხარეებმა სამომავლოდ სამართლებრივი ურთიერთობა ამ პირობების შესაბამიასდ მოაწესრიგონ.[67] ზემოხსენებული მცირედი დეფინიციის თანახმად შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ქცევა ხელშეკრულების ნაწილად მხოლოდ მხარეთა ნებასა და ურთიერთ თანხმობაზეა დამოკიდებული. კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმება უშუალოდ სტანდარტულ პირობათა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად ქცევის საკითხს მოიცავს და იგი არ შეიძლება აღქმულ და გაგებულ იქნას, როგორც შეთანხმება სტანდარტულ პირობათა შინაარსზე. ამ შემთხვევაში სტანდარტუი პირობები დაკარგავდნენ საწყის სახეს და ისინი მხარეთა შორის შეთანხმებულ ინდივიდუალურ პირობებად გადაიქცეოდნენ.

მოცემულ საკითხის განხილვისას საინტერესოა ფაქტი თუ სტანდარტული პირობების რომელი ნაწილი იქცევა ხელშეკრულები შემადგენელ ნაწილად. სტანდარტული პირობები, რომლებიც ხელშეკრულებაშია მოცემული და რომელსაც მხარე ხლმოწერით ადასტურებს თუ შემთავაზებლის მიერ ერთგვარ დანართად შემოტანილი პირობები.

მოცემული საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ თუ ხელშეკრულებაში მოცემულ სტანდარტულ პირობებს მე როგორც კლიენტი ხელმოწერით ვადასტურებ, თავისთავად უნდა ვაცნობიერებდე, რომ ისინი

[67] ჭანტურია,სსკ-ისკომენტარი, წიგნიIII, 2001, მუხ. 343, გვ. 187.

ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად აქცია ჩემმა ხელმოწერამ. მაშასადამე გამოდის, რომ გავეცანი ხელშეკრულებას და ხელი მოვაწერე მას. გამოვხატე მზაობა მათ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად ქცევასთან დაკავშირებით. ხელმოწერით დაფიქსირებულია თანხმობა რომ მხარე იზიარებს სტანდარტული პირობების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაქცევას და გამოთქვამს მზაობას, რომელსაც ადასტურებს ხელმოწერით.[68]

ამდენად უნდა ითქვას, რომ მოცემული პირობები ერთმანეთთან კუმულატიურ კავშირშია და ისინი ერთმანეთის გარეშე ქმედით მექანიზმს ვერ ქმნიან იმდენად, რამდენადაც არ იქნება შეთავაზება შეუძლებელი იქნება მისი გაცნობა და დათანხმება მასზე. ერთი მეორის გარეშე უბრალოდ ვერ იარსებებს.

მოცემული საკითხის განხილვისას კანონმდებელი იმპერატიულად არ ადგენს შეთავაზების ფორმის მხოლოდ წერილობითი სახეს, რაც გვაძლევს საშუალებას შეთავაზება არა მხოლოდ წერილობითი, არამედ სხვა ბეჭდითი თუ ციფრულად აღქმადი ფორმით იქნეს გაკეთებული. აქ კანონმდებელი მთავარ ყურადღებას შეთავაზების აღქმადობას უთმობს. კანონმდებელი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს შეთავაზების რეალური აღქმის შესაძლებლობას. იმდენად, რამდენადაც საკითხი აღქმადობას ეხება ვფიქრობ კანონმდებლის გადაწყვეტილება არ შეზღუდოს შეთავაზების ფორმა საკმაოდ გონივრულია, მიუხედავად იმისა რომ 343-ე მუხლის დეფინიციაში მხოლოდ წერილობითი ფორმაა ნახსენები. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი აქცენტს თვალსაჩინოობაზე აკეთებს. ამდენად, კანონმდებელი ხაზს უსვამს შემდეგ გარემოებებს. იმისათვის რომ კონკრეტული სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იქცნენ საჭიროა რამდენიმ კომპონენტის არსებობა. ესენია ნათელი, მკაფიო, თვალსაჩინო შეთავაზება რომელიც გონივრული განსჯის ფარგლებში აღიქმევა როგორც თვალსაჩინო და მკაფიო და შეთავაზების მიმღების რეალური შესაძლებლობა აღიქვას, გაიაზროს, გაითავისოს და მიიღოს შეთავაზებული სტანდარტული პირობები. რეალური შესაძლებლობა გამოთქვას საკუთარი აზრი კონკრეტულ საკითხზე თავისუფლად და დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. შეძლოს მოცემული საკითხის ჯანსაღი შეფასება და აღქმა, რასაც მისი თანხმობა უნდა მოყვეს. რაც შეეხება კლიენტის მიერ ნების გამოხატვასა და პირობების მიღებაზე თანხმობის საკითხს, კანონმდებელი ასეთ

[68] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305Rn. 43

თანხმობად მიიჩნებს კლიენტის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც კლიენტს უბრალოდ შეეძლო გასცნობოდა პირობების შინაარს.[69]

მოცემულ შემთხვევაში ვფიქრობ კანონმდებელი სწორ აქცენტს აკეთებს სტანდარტული პირობების ხელშეკრულების ნაწილად გადაქცევის მომენტის განსაზღვრის კუთხით იმდენად, რამდენადაც წინადადების მიმღებ მხარეს "არ პატიობს" უყურადღებობას შეთავაზებულ საკითხების განხილვის დროს. მოცემული გადაწყვეტილებით კანონმდებელი თანაბრად ანაწილებს რისკებს მხარეთა შორის და უფრო მეტიც, საკითხთან დაკავშირებით შეთავაზების მიმღების მიერ პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში სწორედ მას აკისრებს მტკიცების ტვირთის მთელს სიმძიმეს, მაშინ როდესაც კონკრეტული ფაქტის დადგომამდე მხარეს შეეძლო მეტი გულისხმიერებით აეცილებინა მოსალოდნელი "გაურკვევლობა".

კონკრეტული საკითხი მეტი სიფრთხილით რეგულირდება მეწარმეთა შორის ურთიერთობებში, მაშინ როდესაც კანონი მეწარმეთა შორის ურთიერთობას ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდება და პასიხისმგებლობის სპეციფიკურ ზომასაც შეიძლებ განუსაზღვრავდეს მათ. კანონმდებელი არ მიიჩნევს რაიმე განსაკუთრებული სახის წარდგენა-დათანხმებას მეწარმეთა შორის არსებული ურთიერთობის ფარგლებში მაშინ, როდესაც ამ უკანაკნელთა შორის არსებობს საქმიანი ჩვეულება თუ ხანგრძლივი სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობა. მოუხედავად ზემოხსენებულისა კანონმდებელი მაინც განსაზღვრავს გარიგების გარკვეულ ფორმას მეწარმეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის სტანდარტული პირობების კუთხით რეგულირებისას თუმცა მას გარკვეულ წილად შედარებით მარტივი ფორმით წარმოადგენს. [70]

ამდენად კანონმდებელი სტანდარტული პირობების ხელშეკრულების ნაწილად ქცევისათვის მხარეთა შორის შეთანხმებას და ამ შეთანხმების მკაფიოდ, ნათლად გამოთქმას უკავშირებს, რომლის აღქმა და მიღებაც ასევე მკაფიო და ნათელი უნდა იყოს.

---

[69] ecker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305Rn. 66; რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 343, ველი 26.

[70] შდრ.ზოგადად იმ განსხვავებულ სტანდარტთან დაკავშირებით რასაც სასამართლო უყენებს მეწარმისა და მომხმარებლის მიერ წაყენებულ პირობებს – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება N ას-1225-1245-2011, თუმცა შდრ. ამ გადაწყვეტილების კრიტიკისათვის მუხ. 346 სქ. 21-ე ველი. სსკ-ის მუხლი 343-ე. გვ: 8, გ. რუსიაშვილი

12. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიუხედავად სტანდარტული პირობების წარდგენის ფორმის განუსაზღვრელობისა, ცდილობს შემთავაზებლის „სამართლებრივი თავნებობა“ სსკ-ს 344-ე მუხლის გამოყენებით შეზღუდოს. მოცემული ნორმის მიზანი სწორედ მის დეფინიციაში იკვეთება და მიმართულია შემთავაზებლის მიერ შესაძლო სამართლებრივი ლავირების თავიდან ასაცილებლად, რომლის მიზანიც შეთავაზების მიმღების არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენება შეიძლება ყოფილიყო.

მიუხედავად სოციუმის შეუქცევადი განვითარებისა სამართლებრივ, ეკონომიკურ თუ სხვა დარგებში აშკარაა საერთო „ადამიანური“ ჩვევა-უყურადღებობა, რომელსაც ხშირად სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარე მძიმე შედეგებამდე მიჰყავს. სწორედ არასაკმარისი ყურადღების გამოვლინება შეიძლება გახდეს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილისთვითვის იმ შედეგების მომტანი, რაც ერთი შეხედვით ობიექტური შეფასებით შეუძლებელი იქნებოდა, რომ დამდგარიყო. სწორედ მსგავს შემთხვევებზე აპელირებს სსკ-ის 344-ე მუხლი, რომლის დეფინიციაშიც გამოუცდელი, არასაკმარისი ყურადღების და ნდობის მაღალი ფაქტორის გამო ხელშეკრულების მონაწილე მხარის დაცვის ფუნქცია იკვეთება. ხელშეკრულება, რომელშიც სტანდარტული პირობები ისეა ფორმულირებული, რომ მეორე მხარისთვის მისი სწორი აღქმა, გაანალიზება და გაგება შეუძლებელი იქნებოდა არ შეიძლება ატარებდეს, სტანდარტული პირობების ნაწილში, სამართლებრივად გამართულ, კანონთან შესაბამისობაში მყოფი ხელშეკრულების ხასიათს. მაშინ როდესაც მხარე არ გამოირჩევა კონკრეტული სამართლებრივი სფეროს მყარი, სიღრმისეული თუ საკმარისი ცოდნით, კანონი თავის თავზე იღებს ამ უკანასკნელის დაცვის ფუქნციას, შედარებით გმოცდილი, ძლიერი სამართლებრივი რესურსის მქონე შემთავაზებლისაგან, რომელიც ცდილობს სტანდარტული პირობების უჩვეულო, მხარისათვის ნაკლებად გასაგები თუ სრულიად გაუგებარი ფორმით ჩამოყალიბებას და მის ისეთ ფორმულირებას, რომლის გაგების შესაძლებლობაც მხარეს არ ექნება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი თავს

იჩენს „ფუჭი“ ნდობის გამოვლინება შემთავაზებლის მიმართ,[71] მისი ავტორიტეტისა თუ მასთან წარსული საქმიანი ურთიერთობის გამო.

თანამედროვე სამართლებრივ ურთიერთობებში, მაშინ როდესაც სამართლებრივი ურთიერთობები მხარეებს შორს სქელტანიანი ხელშეკრულებებით ფორმდება, ხშირ შემთხვევაში მხარე მოკლებულია საშუალებას სრულად და ამომწურავად გაეცნოს ხელშეკრულების თითოეულ პუნქტსა თუ ნაწილს. ზემოხსენებული შემთხვევა განსაკუთრებით მწვავედ დგას მხარეებს შორის არსებულ საბაკნკო-საკრედიტო ხელშეკრულებებში, სადაც არა მარტო ხელშეკრულების მოცულობა, არამედ ხშირ შემთხვევაში სტანდარტული პირობების თუ ხელშეკრულების ძირითადი პირობების წარდგენის ფორმა საკმაოდ რთულად აღქმადია. ყველასთვის კარგად ნაცნობ „წვრილ შრიფტს“[72], რომლითაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ფორმულირება ხდება, შეთავაზების მიმღები ხშირად ყურადღების მიღმა ტოვებს. სწორედ აღნიშნული ფორმით ხდება ისეთი პირობების ფორმულირება, რომელიც საშუალო კლიენტის მოლოდინის ჩარჩოებს ცდება და ვერ ექცევა ნდობის იმ სამართლებრივ საზღვრებში, რაც ჯანსაღ სახელშეკრულებო ურთიერთობებში უნდა არსებობდეს. სწორედ „ტყუილს სამართლის სახელით“ გამორიცხავს სსკ-ის 344-ე მუხლი, რომელიც აპელირებს შემთავაზებლის არაკეთილსინდისიერ ქმედებაზე და მსგავსი ფორმულირებით ჩამოყალიბებულ პირობებს ხელშერულების სივრციდან აძევებს. არ აღიარებს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად და მათ ძალადაკარგულად წარმოაჩენს.

მისასალმებელია კანონმდებლის მცდელობა. დაიცვას შეთავაზების მიმღები მხარე ხელშეკრულების ფორმის მიხედვით ისეთი უჩვეულო პირობებისაგან, რომლის სწორად და ჯეროვნად აღქმა, გაგება და გაანალიზება მეორე მხარისათვის შეუძლებელი იქნებოდა. კანონმდებელი მოცემულ საკითხის განხილვისას თავის ყურადღებას უჩვეულო პირობის წარდგენის ფორმას მიაპყრობს, რა დროსაც ხელშეკრულების შინაარს განსჯის საგნად არ ხდის. ერთი შეხედვით კანონმდებელი თითქოს სახელშეკრულებო თავისუფლების პრიცნიპის დარღვევას იცილებს თავიდან და ყურადღებას მხოლოდ ხელშეკრულების შედგენისა და პირობების წარდგენის ტექნიკურ მხარეზე ამახვილებს.

[71] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 344, ველი 1.

[72] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 344, ველი 2.

კონკრეტული მიდგომისას კი უჩვეულო ფორმით ფორმულირებულ სტანდარტულ პირობების მოქმედების შეზღუდვას განასხვავებს ინდივიდუალურ ხელშეკრულებაში მხარის მიერ გამოჩენილი გულგრილობისაგან რა დროსაც მხარე პასუხს აგებს საკუთარ უყურადღებობის გამო. კონკრეტული მიდგომით კანონმდებელი ხაზს უსვამს შემთავაზებლის წინაშე არსებულ მოთხოვნას- იმოქმედოს კეთილსინდისიერად და თავი აარიდოს სასურველი სტანდარტული პირობების გაურკვეველი ფორმით წარდგენას იმ იმედით, რომ მხარე მათ ყოველგვარი განხილვის გარეშე მიიღებს და სამართლებრივ „ყულფს“ საკუთარი ხელით მოირგებს.

კანონმდებელი მსგავსი შემთხვევებისაგან შეთავაზების მიმღების დაცვას ზემოხსენებული ხელშეკრულებების ორი სახის მკაფიო გამიჯვნით ცდილობს, რა დროსაც ემხრობა პრინციპს „ვინც არ კითხულობს, მას არ ეშლება“[73] გამორიცხვით. მოცემული პრინციპის ამოქმედებით კანონმდებელი პასუხისმგებლობის სიმძიმეს არა შეთავაზების მიმღებს, არამედ შემთავაზებელს აკისრებს, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების იმგვარი შინაარსითა თუ ფორმით ჩამოყალიბებას, რაც მეტ სარგებელს მოუტანს მას, თუნდაც ეს შეთავაზების მიმღებს სამართლებრივად ზედმეტად „ძვირი დაუჯდეს“.

12.1 შინაარსის კონტროლი კანონმდებლის მიერ

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია კანონმდებლის ნება, შევიდეს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსში იმდენად, რამდენადაც განიხილავს ამ უკანასკნელთა განსაკუთრებით უჩვეულო შინაარსით ფორმულირებას. კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად ვიზიარებ კანონმდებლის ნებას ისეთი სტანდარტული პირობების ხელშეკრულებიდან გამორიცხვის შესახებ, რომლებიც შეთავაზების მიმღებს ართმევს რალურ შესაძლებლობას იცოდეს ის რაზეც დებს ხელშეკრულებას. სტანდარტული პირობა, რომელიც სრულიად ან იმდენადაა აცდენილი ხელშეკრულების კონტექსტს, რომ მეორე მხარე მას

[73] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305cRn. 2.

უბრალოდ ვერც ჩვეულებრივად მიიღებდა მხედველობაში და არც მათი სამართლებრივად გამართლებული მოლოდინი შეიძლება ჰქონოდა. მოცემული დათქმა შეთავაზების მიმღებს ერთგვარ სამართლებრივ ჯავშანს სთავაზობს, რომელიც ხელშეკრულების ნაწილად არ აქცევს ისეთ პირობებს რომელთაც მხედველობაში მიღება და გათვალისწიება მხარეს ჩვეულებრივ შემთხვევაში არ შეიძლება მოეთხოვოს.[74]

მოცემული ფორმულირება არ შეიძლება გაგებულ იქნას ისე, თითქოს კანონმდებელი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის გამო ახდენდეს ამ უკანასკნელთა ხელშეკრულებიდან გამორიცხვას. აქ კანონმდებელი აქცენტს არა ხელშეკრულების შინაარსზე არამედ მისი გადმოცემის, ფორმულირების, გამოხატვის ფორმაზე აკეთებს და ცალსახად მოითხოვს რომ ეს უკანაკსელი საკმაოდ მკაფიო და შეთავაზების მიმღებისათვის მარტივად აღქმადი უნდა იყოს. სწორედ გამოხატვის ფორმულირებას უთმობს კანონმდებელი დიდ ყურადღებას და შემთავაზებლის მხრიდან მოითხოვს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არ იქნას ჩამოყალიბებული იმდენად უჩვეულოდ, რომ მეორე მხარისათვის მათი აღქმა და გაგება უბრალოდ შეუძლებელი იყოს.[75]

12.2 ინდივიდუალური შეთანხმების უპირატესობა

როგორც 342 ე მუხლის სამართლებრივ დეფინიციის ანალიზის დროსაც აღვნიშნეთ სტანდარტული პირობის სამართლებრივი შეფარდება მხარეთა მიერ ინდივიდუალურად შეთანხმებულ პირობასთან ამ უკანასკნელის მიერ პოზიციების მოპოვებითა და სტანდარტული პირობის გაძევებით გამოიხატება.[76] მოცემულ სიტუაციაში სტანდარტული პირობის ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობით ჩანაცვლება არ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც სტანდარტული პირობის არანამდვილობა ან უჩვეულო სტანდარტული პირობის გამორიცხვა

[74] Lindacher/Hau,in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305cRn. 2.

[75] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305cRn. 2.

რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 344, გვ. 3

[76] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305cRn. 11

ხელშეკრულებიდან მისი უჩვეულო ხასიათის გამო. მოცემულ სიტუაციასი კანონმდებელი ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობისათვის უპირატესობის მინიჭებით მხარეთა შორის არსებული შეთანხმების მნიშვნელობას უსვამს ხაზს და არა უჩვეულო სტანდარტული პირობის დაუშვებლობასა თუ არანამდვილობას.

მარტივი ფორმულირებით შესაძლოა საკითხი შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ. ინდივიდუალური და სტანდარტული პირობა ისევე როგორც უჩვეულო პირობა ერთმანეთთან დაპირისპირებისას ინდივიდუალური პირობის წინ წამოწევის ხარჯზე არ იწვევს სტანდარტული და უჩვეულო პირობათა არანამდვილობას, არამედ მათ უკანა ადგილზე ანაცვლებს. შემთავაზებელი, რომელიც აქცენტს ინდივიდუალური პირობის უპირატესობაზე აკეთებს ავტომატურად ემხრობა ხელშეკრულებიდან სტანდარტული თუ უჩვეულო პირობის გამოდევნას და მათ ინდივიდუალური შეთანხმებით ჩანაცვლებას.[77]

12.3 სტანდარტული პირობის ობიექტურად უჩვეულო პირობად შეფასება

რაც არ უნდა ვისაუბროთ უჩვეულო პირობების შესახებ აუცილებელია ვიცოდეთ რა მოიაზრება მსგავს პირობად და რა შეფასებით კრიტერიუმს ადგენს ქართული სამართლებრივი სისტემა ხელშეკრულების პირობის უჩვეულო სტანდარტულ პირობად შეფასების დროს.

ბ. ლადო ჭანტურიას შეფასებით უჩვეულოდ ითვლება სტანდარტული პირობის დებულება, რომელიც არსებითად ცვლის შეთანხმებას ან ხელშეკრულების მონაწილე მხარეს. კლიენტს მისთვის სრულიად მოულოდნელად დამატებით ვალდებულებებს აკისრებს.[78] აქ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კლიენტს არ უნდა შეეძლოს აღნიშნული პირობების გათვალისწინება და არ უნდა ჰქონდეს მსგავსი პირობების წარდგენის თუ ხელშეკრულებაში ჩართვის საფუძვლიანი მოლოდინი.

ამდენად მოცემულ შემთხვევაში ერთ -ერთ წინაპირობად სტანდარტული პირობის უჩვეულოდ აღქმისათვის მისი მოულოდნელობის ეფექტი წარმოადგენს

[77] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305cRn. 11

[78] ჭანტურია, სკ-ისკომენტარი, წიგნიIII, 2001, მუხ. 344, გვ. 190.

რომელიც კლიენტს დამატებით ვალდებულებებს დააკისრებს ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება ითქვას რომ კლიენტის წინააღმდეგ მიმართული "სამართებრივი "ბლიცკრიგია" სტანდარტული პირობისათვის უჩვეულო სტანდარტული პირობის სტატუსის მიმნიჭებელი.

შესაბამისად კანონმდებელი უჩეულო პირობად სტანდარტული პირობის გადაქცევას შეთანხმების არსებით ცვლილებასა და პირობის მოულოდნელობას უკავშირებს.

ამ უკანასკნელთა არსებობას არ აქვს კუმულატიური ხასიათი და ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობის პირობებშიც სტანდარტული პირობის უჩვეულო სტანდარტულ პირობად გარდაქმნას ეფექტურად ახორციელებენ.ამდენად ხელშეკრულების პირობის გარდაქმნა უკავშირდება მოულოდნელობას ან პირობის არსებით ცვლილებას.

მოცემული საკითხის ობიექტური შეფასებისას რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. ობიექტური მიდგომისას უჩვეულოდ შეიძლება მივიჩნიოთ პირობა, რომელიც არა მხოლოდ ცვლის ხელშეკრულებას ან მოულოდნელია არამედ მისი გარეგანი გამოხატვის ფორმითაც კი კლიენტს, მეორე მხარეს გარკვეულ სიძნელეს უქმნის პირობის სწორ აღქმასა და გააზრებაში. მაგალითად, როდესაც ხელშეკრულებაში მოცემული პირობა იმდენად "კარგად" არის "დამალული", რომ მხარე მოქმედებს რა ნდობისა თუ უყურადღებობის პრინციპით ვერ ამჩნევს კონკრეტულ პირობას, რომელიც შესამჩნევ ადგილას რომ გაეკეთებინა შემთავაზებელს აღქმული და შეფასებული იქნებოდა ობიექტურად და კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დაეყენებინა ხელშეკრულების დადების საკითხი. სწორედ ამიტომ იმისათვის, რომ ხელშეკრულების პირობა ობიექტურად უჩვეულოდ იქნას შეფასებული საჭიროა ცალკეული ხელშეკრულების დადების თანმხლები გარემოებების გათვალისწინება.[79] მიუხედავად ზემოხსენებულისა უნდა აღინიშნოს რომ გერმანული სამართლებრივი სისტემა იზიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც კანონში დაფიქსირებული სახელშეკრულებო ჩარჩოსთან პირობის შეუსაბამობა არ შეიძლება ხელშეკრულების პირობის უჩვეულობის ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყოს.[80]

---

[79] BAG NJW, 2000, 3300

[80] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305cRn. 14

ა) ობიექტურად უჩვეულო კლიენტის თვალსაწიერიდან

იმისთვის, რომ დავადგინოთ ჩაითვლება თუ არა სტანდარტული პირობების ნორმები უჩვეულოდ, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს თუ რა ითვლება ჩვეულ ნორმებად. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს თუ ვისი პოზიციიდან უნდა ვიმსჯელოთ, ვისი გადმოსახედიდან უნდა განისაზღვროს ჩვეული წესის დეფინიცია, ანუ რა ჩაითვლება ჩვეულ წესად.

აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ნების გამოხატვის შინაარსის დადგენისას, გადამწყვეტია არა გამომხატველის (შემთავაზებლის), არამედ მიმღების (კლიენტის) თვალსაწიერი.[81] ეს უკანასკნელი მოიცავს არა კონკრეტული ერთი კლიენტის თვალსაწიერს და სუბიექტურ დამოკიდებულებას, არამედ იმ კლიენტთა წრეს, რომელთაც კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე აქვთ სამართლიანი მოლოდინი. რაც შეეხება მოლოდინს, უპირატესობა ენიჭება კლიენტთა იმ წრეს, რომელიც ჩვეულებრივ დებს ხოლმე ამ ტიპის ხელშეკრულებებს.[82] უფრო რომ დავკონკრეტდეთ გასათვალისწინებელია ე.წ. საშუალო სტატისტიკური კლიენტთა წრე, რომელიც უპირატესია კონკრეტული კლიენტის სუბიექტურ მოლოდინებთან შედარებით, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ კლიენტს , ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უჩნდება განსაკუთრებული მოლოდინი, ხოლო შემდგომ სტანდარტულ პირობებში ჩადებული დათქმით მას იმედი უცრუვდება, ასეთ შემთხვევაში, რათქმაუნდა, პრივილეგია ენიჭება ამ ინდივიდუალური შეთანხმებიდან გამომდინარე კონკრეტული კლიენტის სუბიექტურ მოლოდინს.[83] პირობა უჩვეულოდ არ ჩაითვლება, თუკი კლიენტმა უბრალოდ ვერ გაიგო პირობის მნიშვნელობა და იგი მიიჩნია უჩვეულოდ. ამ დროს უნდა მოხდეს ნდობისა და კეთილსინდისიერების, ასევე სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებების შეჯამება და გადაწყდეს სწორად უნდა აღექვა თუ არა კლიენტს პირობის მნიშვნელობა.

---

[81] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305cRn. 14

[82] 14.32BGH NJW-RR2001, 440; BGH NJW1994, 2145; Lindacher/Hau,in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305cRn. 27.

[83] BGH NJW 1981, 117

ბ) ზოგადი და კონკრეტული გარემოებები

არსებობს ორი ტიპის გარემოება: ზოგადი და კონკრეტული, რომლიდანაც კონტრაჰენტის მხრიდან გამომდინარეობს ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული მოლოდინი.

ზოგად გარემოებად მოიაზრება მაგალითად ხელშეკრულების მოდელი, რომელიც კანონის ნორმების დაცვითაა შედგენილი ან წარმოდგენილია იმ შინაარსით, რომელიც მოცემული ტიპის ხელშეკრულებებისთვის ზოგადად დამახასიათებელია. ხოლო მისი უჩვეულო დებულებები კონტაჰენტს დამატებით ვალდებულებას აკისრებენ, ისეთს, რომელიც ამ ტიპის ხელშეკრულებისთვის არ არის დამახასიათებელი, ან დამახასიათებელია, მაგრამ უცვეულო დებულებებით გაფართოებულია ვალდებულების ფარგლები.[84]

უჩვეულო ნორმები არამხოლოს აფართოებენ კონტაჰენტის ვალდებულებათა ფარგლებს, არამედ ავიწროვებენ კიდეც შემთავაზებლის ვალდებულებათა წრეს, რომელიც კანონის დისპოზიციური ნომებითაა დადგენილი. კონკრეტული სავაჭრო სფეროსთვის დამახასიათებელი ჩვეულება მხოლოს მაშინ ჩაითვლება მნიშვნელოვნად, თუკი ორივე მხარე მოცემულ სავაჭრო წრეს განეკუთვნება.[85] მაგრამ თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე ასეთი წრეს არ მიეკუთვნება, ცალკეულ სავაჭრო წრეებში აღიარება ვერ ჩაითვლება სტანდარტული პირობების "უჩვეულობის" შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად,[86] რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გადამწყვეტია არა შემთავაზებლის არამედ კონტრაჰენტის თვალსაწიერი და ის თუ როგორ აფასებს იგი სტანდარტულ პირობას. გამომდინარე აქედან, პირობის უჩვეულობის გამსაზღვტის კრიტერიუმად უპირატესობა ენიჭება კონტრაჰენტის მოლოდინს, რომელიც ინდივიდუალური გარემოებებითაა განსაზღვრული, ხოლო სავაჭრო წრის ფართოდ გავრცელებულობა და ჩვეულება უკანა პლანზე გადადის.[87]

საინტერესოა რა მოიაზრება იმ **ინდივიდუალური გარემოებების** ქვეშ, რომლებიც განსაზღვრავენ კონტრაჰენტის სახელშეკრულებო მოლოდინს. ერთწეთი ასეთი გარემოება შეიძლება იყოს ხელშეკრულების გარეგანი

---

[84] Lindacher/Hau,in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, §305cRn. 29; Basedow, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 305c Rn. 11

[85] BGHNJW 1987, 2228; BGH NJW 1988, 560

[86] სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, გიორგი რუსიშვილი. მ. 344, ველი 15

[87] BGH NJW 1988,560; Lindacher/Hau,in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305cRn. 25.

გაფორმება. მაგალითად პირობა, რომელიც განთავსებულია ხელსეკრულების ტექსტის არასავარაუდო ნაწილში მიმალულად[88], ან თუკი კლიენტი საერთოდაც არ ელოდება ასეთი ტიპის დათქმას კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებაში. (მაგალითი)

მოლოდინის განმაპირობებელი ინდივიდუალური მომენტი შესაძლოა ასევე იყოს წინარე მოლაპარაკებების ფარგლებში გაკეთებული განცხადებები, გამონათქვამები ან შეთანხმებები, შესაძლოა იყოს თავად ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ინფორმაცია, რომელიც თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული მიდი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო. მაგალითად სპეციალურად გამოკვეთილი დათქმა ხელშეკრულების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელიც განაპირობებს მოლოდუნს და უცვეულოდ აქცევს სტანდარტულ პირობას ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, მასინაც კი, როდესაც ეს პირობა სხვა მხრივ დასაშვებია.[89]

12.4 უჩვეულო დებულების მოულოდნელობა

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ სტანდარტული პირობის უჩვეულო ხასიათი არ არის საკმარისი რათა კანონმდებელმა სსკ-ის 344-ე მუხლი მოქმედებაში მოიყვანოს. აქ ერთ-ერთ დამატებით კრიტერიუმს მოულოდნელობა წარმოადგენს რომელიც უჩვეულობას თან უნდა ერთოდეს. სწორედ მოულედნობის შეფასება და სწორი აღქმაა მნიშვნელოვანი, რათა მივიღოთ ობიექტური ჭეშმარიტება- არის თუ არა კონკრეტული შემთხვევა სსკ-ის 344-ე გავლენის სფეროში შემავალი, რეგულირებადი წრის ნაწილი. თავის მხრივ რასაკვირველია ე.წ "მოუმზადებლად თავზე დატყდომის ან გაცურების ეფექტს"[90] მხოლოდ კლიენტის, შეთავაზების მიმღების მიერ საკითხის სუბიექტურ აღქმას ვერ დავუდებთ განმსაზღვრელად იმდენად, რამდენადაც სტანდარტული პირობები კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობების მრავალჯერად გამოყენებად

[88] BGH NJW-RR 2012, 1216.

[89] BGH NJW 1989, 2255

[90] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305cRn. 18

პირობებს განეკუთვნება და აქ აქცენტი კონკრეტული სოციუმის ობიექტურ თუ სუბიექტურ აღქმაზე კეთდება, უფრო კონკრეტულად კი სოციუმზე, რომელიც ანალოგიური სახის ხელშეკრულებებს დებს.[91] ის რაც ერთი ინდივიდის შემთხვევაში მოულოდნელ უჩვეულობას შეიძლება წარმოადგენდეს, შესაძლოა კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში სავსებით მისაღებ და დამკვიდრებულ სტანდარტს ქმნიდეს. ამდენად აქ კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს კონკრეტული საკითხის, პირობის, სოციუმისეულ განზოგადებულ აღქმაზე, თუ რამდენადაა მისაღები ეს უკანასკნელი მანამდე არსებულ მსგავს სამართლებრივ ურთიერთობების მონაწილეთათვის.

რასაკვირველია კონკრეტული მიდგომა არსებულ საკითხისადმი, სტანდარტული პირობის უჩვეულობის დადგენის გამარტივებას ემსახურება, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სოციუმში სადაც არ არსებობს პროტესტის გრძნობა იქნება ეს უჩვეულო სტანდარტული პირობის მიმართ, თუ ხელშეკრულების შემთავაზებელი მხარის წინააღმდეგ, საკითხის ზემოხსენებული წესით გადაჭრა სამართლებრივ სიმახინჯედ შეიძლება გადაიქცეს. სოციუმი, რომელიც ითმენს "სამართლებრივ ტერორს" საბანკო სისტემისა თუ ბაზარზე გაბატონებული ხელშეკრულების უალტერნატივო შემთავაზებლის მხრიდან, თავად ხდება კაბალური, უჩვეულო პირობების შემოქმედი და ზემოხსენებული სტანდარტის გამოყენებით შეთავაზების მიმღებთა სამართლებრივად ჯანსაღ ნაწილს აიძულებს ითმინოს "სამართლებრივი ტერორი". მიიღოს შემოთავაზებული უალტერნატივო უჩვეულო სტანდარტული პირობები მხოლოდ იმის გამო რომ იგი არსებულ სოციუმში "მიღებულ". "დამკვიდრებულ" ფორმად ითვლება.

ზემოხსენებული უჩვეულო დებულებების მოულოდნელობისაგან თავის დასაცავად გერმანული სამართლის სისტემა შემთავაზებელს შესაძლებლობას აძლევს გააქარწყლოს მოულოდნელობის ეფექტი, რომელიც სტანდარტულ პირობას ახლავს თან.[92] სსკ-ის 344-ე მუხლის კომენტარებისას ბატონი გიორგი რუსიაშვილი ამისათვის აუცილებელ პირობად მკაფიო მითითებას ასახელებს,[93] რომელიც მიმართული იქნება ხელშეკრულების სტანდარტული პირობის უჩვეულო დებულებაზე. აქვე აღნიშნავს, რომ "ამ ეფექტის გასაქარწყლებლად

[91] ჭანტურია, სკ-ისკომენტარი, წიგნიIII, 2001, მუხ. 344, გვ. 190

[92] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305cRn. 19

[93] BGH NJW 1992, 746; OLG Celle MDR 2008, 757,
სსკ-ის კომენტარი. მუხლი 344. გვ.10. გ.რუსიაშვილი

მხოლოდ მითითება არ არის საკმარისი საშუალება და აუცილებელია პირობის რეგულატიური შინაარსის ახსნა ან კანონისმიერი თუ ტიპიური სახელშეკრულებო ალტერნატივის არსებობა, ალტერნატიული რეგულაციის აღწერა.[94]"

ზემოხსენებული მოქმედების გათვალისწინება ხელშეკრულების მიმღებ მხარეს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს მოსალოდნელი შედეგები და გააანალიზოს უღირს თუ არა ხელშეკრულების დადება კონკრეტულ პირთან, კონკრეტულ საკითხზე მოცემული პირობებით. რაც შეეხება მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებას იქნება ეს ხელშეკრულების ფასი თუ რაიმე სხვა საკითხი, ამ შემთხვევაში მოულოდნელობის ეფექტი თავისთავად გამოირიცხება იმდენად, რამდენადაც მხარეებს ნამსჯელი აქვთ კონკრეტულ პირობებზე და მათ აქვთ გამოხატული გარკვეული ნება მიიღონ ესა თუ ის პირობები. მოულოდნელობის ეფექტის გასქარწყლებლად კანონმდებელი მხარისათვის ინფორმაციის მაქსიმალურად მიწოდებას უკავშირებს და ამავდროულად ამ ინფორმაციის ზედმიწევნით აღქმას. კანონმდებელი საკმარისად არ თვლის მხოლოდ გარკვეული სახით, ინფორმაციის ვალის მოხდის მიზნით მიწოდებას და **"სამართლებრივ პილატეს ხელბანვას"**. აქ საუბარია კანონმდებლის მოთხოვნაზე შემთავაზებელმა გამოიჩინოს კეთილსინდისიერება და დარწმუნდეს რომ მხარე ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგებს და სრულფასოვნად იგებს შეთავაზებულ უჩვეულო პირობას.

"მკაფიო მითითების და განმარტების ვალდებულება აქვს შემთავაზებელს და არც ერთ შემთხვევაში -კლიენტს."[95]

კლიენტი არ არის ვალდებული, გაერკვეს პირობის ბუნდოვან ფორმულირებაში მისი სხვადასხვა სპეციალურ ლიტერატურაში მოძიებისა, თუ სხვა წყაროებიდან მის შესახებ ცნობების მოპოვების გზით.[96]

მოცეული მიდგომა ნათელს ხდის კანონმდებლის სურვილს კონკრეტული საკითხის მაღალი პასუხისმგებლობით დარეგულირების სურილისა იმდენად, რამდენადაც კანონმდებელი შემთავაზებელს არ აძლევს საშუალებას ისარგებლოს შეთავაზების მიმღების გამოუცდელობით, ნდობის პრინციპითა თუ საკითხის მიმართ ნაკლები ყურადღების გამოჩენით.

---

[94] სსკ-ის კომენტარი. მუხლი 344. გვ.10. გ.რუსიაშვილი

[95] სსკ-ის კომენტარი. მუხლი 344. გვ.11. გ.რუსიაშვილი

[96] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305cRn. 19

ზემოხსენებული გარემოებების დადასტურების შემდეგ, მაშინ როდესაც სახეზეა უჩვეულო სტანდარტული პირობა რომელის აკმაყოფილებს მისი ხელშეკრულებიდან გამორიცხვის, განდევნის ყველა კრიტერიუმს სამართლებრივი სისტემა ხელშეკრულებაში არსებულ სახელშეკრულებო ნაპრალს კანონის დისპოზიციური ნორმებით ავსებს. [97] უჩვეულო პირობების გამორიცხვა ხელშეკრულებიდან არ შეიძლება ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი გახდეს, იმდენად რამდენადაც სტანდარტული პირობა წარმოადგეს ერთგვარ შემვსები ხასიათის პირობას და მისი არსარსებობის შემთხვევასი მათ ადგილს კანონის დისპოზიციური ნორმები იკავებენ.

13. ბუნდოვანი ტექსტის განმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ

ხელშეკრულებიდან სტანდარტული პირობის გამოდევნის ერთ-ერთი მიზეზი როგორც უკვე აღინიშნა კანონმდებლის მიერ დადგენილი სტანდარტის ფარგლებს გაცელა, ბუნდოვანება შეიძლება მოვიაზროთ. ბუნდოვანება რომელიც ვერ ჰპოვებს რეალურ ახსნას და რჩება კონტრაჰენტისთვის გაუგებარ, ძნელად აღსაქმელ მოვლენად. სწორედ ბუნდოვანების წესს ადგენს კანონმდებელი სსკ-ის 345-ე მუხლით სადაც მსგავსი შემთხვევის განმარტებისას თემიდას სასწორის პინას კონტრაჰენტის, შეთავაზების მიმღების სასარგებლოდ ხრის. ბუნდოვანების წესის საკანონმდებლო რეგულაციის მიზანი, ხელშეკრულების ფარგლებში "გაბატონებული" მდგომარეობის მქონე შემთავაზებლისთვის იმის იძულებაა, რომ მან რაც შეიძლება ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს სტანდარტული პირობა და ისე წარუდგინოს ეს უკანასკნელი კონტრაჰენტს.[98] სწორედ სტანდარტული პირობის მკაფიო და ნათლად ჩამოყალიბებაა უმნიშვნელოვანესი მაშინ, როდესაც შეთავაზების მიმღები მოკლებულია რაიმე სახის სახელშეკრულებო ალტერნატივას და შეიძლება იძულებულიც კია დადოს გარკვეული სახის ხელშეკრულება მხარესთან მხოლოდ იმიტომ, რომ მას სხვა არჩევანი ან უბრალოდ არ აქვს, ან და არჩევანის გაკეთება უწევს ბუნდოვან და ნაკლებად

[97] ჭანტურია, სკ-ისკომენტარი, წიგნიIII, 2001, მუხ. 344, გვ. 192
[98] ანტურია, სკ-ისკომენტარი, წიგნიIII, 2001, მუხ. 345, გვ. 192

ბუნდოვანს, მძიმე და ნაკლებად მძიმე, არახელსაყრელსა და ნაკლებად არახელსაყრელ პირობას შორის.

ბუნდოვნად შეიძლება მივიჩნიოთ ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი პირობა, რომელიც არ არის ცალსახად აღქმადი და მკაფიოდ გასაგები. პირობა რომელიც საჭიროებს დამატებით განმარტებებს და არაა გასაგები სტატისტიკურად, ბაზარზე არსებული კლიენტთა საშუალო ფენისთვის უნდა განიმარტოს კლიენტთა სასარგებლოდ და არ შეიძლება ჩაითვალოს სტანდარტულ, პირდაპირ შეთავაზებულ პირობად, რომელიც ემსახურება შემთავაზებლის ინტერესის გატარებას. კანონმდებელი პირობას, რომელსაც რამდენიმე ახსნა, რამდენიმე სახის განმარტება შეიძლება მიესადაგებოდეს, ხელშეკრულების იმ მხარის სასარგებლოდ განმარტავს, რომელიც იღებს ამ პირობას. ზემოხსენებულით კანონმდებელი ერთის მხრივ შემთავაზებელს უგზავნის მკაფიო სიგნალს, იყოს კეთილსინდისიერი და ღია კლიენტთან ურთიერთობაში, მეორეს მხრივ კი იცავს კლიენტს არაკეთილსინდისიერი, დაფარული ზრახვების მქონე შემთავაზებლისგან, რომელიც შესაძლოა დაფარული, ნაკლებად გასაგები და ბუნდოვანი პირობით ხელშეკრულების მეორე მხარეს, შეთავაზების მიმღებს საკმაოდ რთულ სახელშეკრულებო მომავალს შეიძლება უმზადებდეს.

ამდენად თეორიულად შეიძლება აღინიშნოს, რომ კანონი ბუნდოვანების წესის შემოღებით ცდილობს დაიცვას შეთავაზების მიმღები მისთვის გაუგებარი ბუნდოვანი პირობების უალტერნატივოდ, უაპელაციოდ მიღებისაგან. ზემოხსენებული მიდგომა წარმოადგენს ერთგვარ საპირწონე დამოკიდებულებას და საზღაურს იმის გამო, რომ შემთავაზებელი მოქმედებს ცალმხრივად, საკუთარი საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით აყალიბებს მისთვის მისაღებ პირობებს და წარუდგენს მეორე მხარეს.[99] როგორც ძველი რომაელი კანონმდებლები იტყოდნენ "**ბუნდოვანება შემპირებლის საზიანოდ მოქმედებს**."[100]

მიუხედავად კანონმდებლის აქტიური მცდელობისა მაქსიმალურად შეამციროს შემთავაზებლის ნეგატიური გავლენა შეთავაზების მიმღების სამართლებრივ პოზიციაზე, ვფიქრობ ღია რჩება საკითხი სტანდარტული

[99] Hellwege, Allgemeine Geschäftsbedingungen, einseitig gestellte Vertragsbedingungen und die allgemeine Rechtsgeschäftslehre, 2010, 511.

[100] "ambiguitas contra stipulatorem est." (D. 34.5.26 Cels. 26. dig.)

პირობების წარდგენის ზოგად ფორმასთან დაკავშირებით. სსკ-ის 344-ე მუხლში კანონმდებელი ე.წ „უჩვეულო სტანდარტულ პირობებზე“ აპელირებს, სადაც გამოყოფს მათი წარდგენის ფორმის მიუღებობას, რაც თავის მხრივ ასეთი უჩვეულო დებულებანის ხელშეკრულებიდან გამორიცხვის წინაპირობას წარმოდგენს. რასაკვირველია მისასალმებელია კანონმდებლის კონკრეტული სურვილი, დაიცვას შეთავაზების მიმღები არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს შორის ურთიერთობის, არამედ მეწარმეთა შორის ურთიერთობისა თუ მეწარმე სუბიექტსა და ფიზიკურ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.

მიუხედავად კანონმდებლის ამ მცდელობისა, ისმის საკითხი ზოგადად სტანდარტული პირობების წარდგენის ფორმის კანონით იმპერატიულად განსაზღვრის არ არსებობის შესახებ. მაშინ, როდესაც კანონმდებელი მხოლოდ სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებებზე აპელირებს და მას შეფასების საგნად უტოვებს სასამართლოს, ვფიქრობ საჭიროა ზოგადად სტანდარტული პირობების ხელშეკრულებაში წარდგენის არა კონკრეტული, რადიკალიზებული ფორმის იმპერატიული ხასიათის ნორმით დადგენა, არამედ გარკვეული სტანდარტების დაწესება რომელსაც ექნება მინიმალური ზღვარი, რომლის ქვედა დონით გამოხატული სტანდარტული პირობა დაკარგავს სახელშეკრულებო ძალმოსილებას. მაშინ როდესაც არ არსებობს სტანდარტული პირობის გამოხატვის ფორმის და საშუალების ოფიციალურად დაგენილი მინიმალური ზღვარი, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე შემთავაზებელი მხარე მაქიმალურად ეცდება საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ კანონმდებლობის ამ „ღია ფანჯარის“ საკუთარ მიზნების სასარგებლოდ გამოყენებას.

მაშინ კი როდესაც საქმე უშუალოდ მოცემული პრობლების სასამართლო წესით მოგვარებას შეეხება, აქ დიდწილად მეტი რესურსის მქონე შემთავაზებლის მხარეს იხრება თემიდას სასწორი, იმდენად რამდენადაც მას კანონი აძლევდა თავისუფლებას საკუთარი „სამართლებრივი გემოვნებით“ განესაზღვრა სტანდარტული პირობის ის ფორმა და შინაარსი რომელსაც მეორე მხარე ნდობის თუ ნაკლები ცოდნის გამო ზედმეტი აპელირების გარეშე მიიღებდა და „წვრილ შრიფტს“ თუ შემთავაზებლის მიერ არჩეულ სხვა ფორმას ნაკლებ ყურადღებას დაუთმობდა.

13.1 უჩვეულო სტანდარტული პირობის კანონმდებლისეური ხედვა

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონმდებელი სტანდარტული უჩვეულო პირობის ზუსტ განსაზღვრებას ვერ იძლევა და მას სამართლის შეფასების საკითხად ტოვებს. მოცემულ შემთხვევაშიც, ისევე როგოც ზემოთ აღნიშნულისას, უნდა არსებობდეს გარკვეული სამართლებრივი თამასა კონკრეტული სტანდარტული პირობებისათვის, რომელიც მიმართული იქნება არა სტანდარტული პირობების კონკრეტიზაციისკენ, რაც რასაკვირველია შეუძლებელია და წარმაოდგენს თავისუფალ სახელშეკრულებო პრინციპის შელახვის მცდელობას, არამედ დაადგენს გარკვეულ შინაარსობრივ კრიტერიუმებს თუ რას უნდა პასუხობდეს სტანდარტული პირობის შინაარსის და მისი ფორმულირება. რა ზოგადი პრიცნიპები უნდა იქნას დაცული, რომ ეს უკანასკნელი ხელშეკრულების სამართლებრივ ფარგლებს გარეთ არ დარჩეს. ჩემი აზრით, ეს მინიმალური ზღვარი უნდა გადიოდეს კეთილსინდისიერებასა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნებაზე. ზემოხსენებული მოსაზრება არ უნდა იქნას გაგებული, როგორც კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების შინაარსის კონტროლის მცდელობა. აქ საუბარია ზოგად პრინციპებზე რაც შემთავაზებელმა უნდა დაიცვას.

გერმანული სამართლებრივი სისტემის გათვალისწინებით კონკრეტული პირობა განიდევნება ხელშეკრულებიდან ორი წინაპირობის ერთდროუალდ არსებობის შემთხვევაში, მაშინ როდესაც დავადგენთ რომ სახეზეა სტანდარტული პირობა, რომელიც თავისი ფორმით და ფორმულირებით უჩვეულო, სტანდარტულისგან განსხვავებულია.[101] მოცემული ორი კრიტერიუმი საკმარისია გერმანული სამართლის სისტემისათვის რათა მოხდეს ხელშეკრულების სტანდარტული პირობის განდევნა ხელშეკრულებიდან და მისი უჩვეულო სტანდარტულ პირობად აღიარება.

კონკრეტულ საკითხზე მხარეთა შორის წამოჭრილი დავის შემთხვევაში კანონმდბელი უპირატესობას ორაზროვანი პირობის შინაარსის განმარტების მეშვეობით დადგენას ანიჭებს. მაშინ როდესაც პირობა გაურკვეველი შეიძლება იყოს კანონმდებელი მის შემოწმებას საფუძვლად უდევს იმ

[101] Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305cRn. 9.
რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 344, გვ.4

განმარტებას რომელიც შემთავაზებლისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია, მოცემულ შემთხვევაში მიმაჩნია, რომ კანონმდებელი კონკრეტულ გაურკვეველ პირობის შემოწმებისას შემთავაზებლისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობის განმარტებას უნდა იყენებდეს, მხოლოდ იმ მიზნით რომ დადგინდეს კონკრეტული პირობის შინაარსი და შემთავაზებლის სავარაუდო ნება. ზემოხსენებული მიდგომა შეიძლება დავუშვათ როგორც შინაარსის დადგენის მექანიზმი, მაგრამ დაუშვებლად მიმაჩნია კონკრეტულმა მიდგომამ შემთავაზებლის სასარგებლოდ გადახაროს თემიდას სასწორი. მოცემულ შემთხვევაში შემთავაზებლი საუკეთესო მოსალოდნელი ინტერესი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ პირობის სავარაუდო შინაარსის დასადგენად და არა შემთავაზებლის პოზიციების უპირობოდ გასამყარებლად.

14. ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო პირობათა ბათილობა

ისევე, როგორც ყველა სხვა სახის ხელშეკრულებაზე სტანდარტული პირობების შემცველ ხელშეკრულებაზეც მოქმედებს ხელშეკრულების ან მისი ნაწილის ბათილობის ინსტიტუტი. კანონი ადგენს, რომ თუკი სტანდარტული პირობა ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და ამით ხელსეკრულების მეორე მხარეს ადგება ზიანი, იგი ბათილად უნდა ჩაითვალოს.

კეთილსინდისიერება- ესაა სამოქალაქო სამართლის ამომავალი პრინციპი, ასევთქვათ ფუნდამენტური პრინციპი. ყოველი სამოქალაქო ურთიერთობა უნდა განხორიელდეს კეთილსინდისიერად, ურთიერთობის მონაწილეთა ნდობაზე დაყრდნობით.[102] როდესაც საქმე ეხება სტანდარტული პირობების შემცველ ხელშეკრულებას, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა ხორციელდება მისი შინაარსის კონტროლით.

კეთილსინდისიერების პრინციპის გვერდის ავლა შესაძლოა სხვადასხვა გზით განხორციელდეს. მაგლითად, როდესაც შემთავაზებელი თვისი სურვილის

[102] ჭანტურია ლ. სსკ-ისკომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 346, გვ. 193

მხედვით ცამხრივად აყალიბებს სტანდარტული პირობის დებულებებს და წარუდგენს მას ჰონტრაჰენტს, იგი ფაქტობრივად ხელშეკრულების ნაწილად აქცევს ისეთ პირობებს, რომლებიც შეიძლება სადაო ან კონტრაჰენტის მხრიდან უარყოფილი ყოფილიყო ამ უკანასკნელს რომ შანსი ჰქონოდა ინდივიდუალური მოლაპარაკება ეწარმოებია შემთავაზებელთან ზემოაღნიშნულ პირობებთან დაკავშირებით.[103] ასევე ის ფაქტორი, რომ კლიენტს საგრძნობლად შეზღუდული აქვს არჩევანის თავისუფლება ბაზარზე არსებული თითქმის იდენტური სტანდარტული პირობების გამო, ესეც ერთგვარი დარღვევაა კეთილსინდისიერების პრინციპისა. ზუსტად ამიტომაც შინაარსის კონტროლის მექანიზმი მოქმედებს იმისთვის, რომ მხარეთა ორმხრივი ინტერესების დაცვით აღადგინოს დარღვეული სახელშეკრულებო სამართლიანობა.[104]

14.1 ბათილობის წინაპირობები

14.1.1 მეორე მხარისათვის საზიანო

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელსეკრულების სტანდარტული პირობების ბათილად მიჩნევისათვის აუცილებელია ორი პირობის კუმულატიურად არსებობა. პირველი-სტანდარტული პირობები უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და მეორე - იგი საზიანო უნდა იყოს მეორე მხარისათვის.

აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რა ითვლება მეორე მხარისთვის საზიანო გარემოებებად, ანუ არის თუ არა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო სტანდარტული პირობა კონტრაჰენტისათვის ზიანის მომტანი. ამის დასადგენად არსებობს რამოდენიმე გზა. მაგალითად, პირობათა

[103] Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl. 2018, § 307 Rn. 2

[104] Stadler, in JauernigOK BGB, 17. Aufl. 2018, § 307Rn. 2

საზიანოობის დასადგენად საჭიროა სტანდარტული პირობების შინაარსი შევადაროთ სამოქალაქო კოდესის ან სხვა სამაღლებრივ ნორმებს, რომლებიც ჩაანაცვლებდნენ და ძალაში იქნებოდნენ იმ შემთხვევაში, თუკი კონრეტულ სიტუაციაში არ იარსებებდა სტანდარტული პირობები.[105] გამომდინარე აქედან ბათილი იქნება ის სტანდარტული პირობები, რომელიც კლიენტის საზიანოდ, ამავე ტიპის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ სამართლებრივ ნორმებს არ შეესაბამება. სამართლებრივად მას შეგვიძლია **კანონის პარადიგმასთან** შეუსაბამობა ვუწოდოთ. უფრო ფართოდ რომ განვმარტოთ, კანონისმიერ პარადიგმასთან შეუსაბამობა ნიშნავს შეუსაბამობას კანონში გაწერილ უფლება-მოვალეობათა პროგრამასთან,[106] რაც იწვევს სტანდარტული პირობის ბათილობას. ასეთი დანაწესიდან გამომდინარე, სამართლის ზოგადი პრინციპების მსგავსად, სამართლის დისპოზიციური დანაწესები ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას და მბოჭავ ძალას.[107]

სტანდარტული პირობების საზიანოობის განსაზღვრის მორიგ საშუალებას წარმოადგებს ე.წ. **უფლება-მოვალეობათა ასიმეტრია**[108], რაც ნიშნავს მხარეთა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებათა და მოვალეობათა უთანასწორობას.

უფლება-მოვალეობათა ასიმეტრიის დასადგენად შესაძლოა არ იყოს საკმარისი ხელშეკრულების მხოლოდ გარკვეული პუნქტების შეფასება. კონკრეტული სიტუცია შეიძლება მოითხოვდეს მთლიანი ხელშეკრულების შინაარსის შეფასებას და აწონ-დაწონვას. თუკი აღმოჩნდება, რომ კონტრაჰენტისთვის საზიანობა გამოწვეულია რამდენიმე პირობის ურთიერთკავშირით, შესაბამისად ყველა ეს პირობა იქნება ბათილი.

არსებობს შემთვევები, როდესაც სტანდარტული პირობების ე.წ. **კომპენსირებასთან** გვაქვს საქმე ანუ, როდესაც სტანდარტული პირობების დაბალანსება ხდება ხელშეკრულების სხვა პირობების საშუალებით და ეს ორი პირობა დამოკიდებულია ერთმანეთზე, შინაარსობრივად ერთი და იმავე

---

[105] BGHZ 99, 374

[106] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 346, ველი 30.

[107] GH NJW 1986, 180; BGH NJW 1999, 1864.

[108] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 346, ველი 15

სიტუაციას არეგულირებენ.[109] მაგალითისთვის, სტანდარტული პირობებით შესაძლოა აპელირებას აკეთებდეს გამყიდველის უფლებაზე, ცალმხრივად გაზარდოს პროდუქციის ფასი, ხოლო ხელსეკრულების სხვა პირობები მყიდველს უფლებას აძლევს ფასის გაზრდის სემთხვევაში მოშალოს ხელსეკრულება მოშლის ვადის დაცვის გარეშე.[110] კომპენსირების ისნტიტუტი მოქმედებს მხოლოდ გამყიდველის მიერ ფასის გაზრდის შემთხვევაში, ხოლო ფასის შემცირების შემთხვევებზე აღნიშნული დანაწესი არ მოქმედებს. ფასის შემცირების შემთხვევაში ზიანის ელემენტი არ გვექნება სახეზე, ამიტომაც მას ვერ გავიყვანთ საზიანო სტანდარტული პირობების რიგებში, შესაბამისად მასზე არც ბათილობის ინსტიტუტი იმოქმედებს.

რაც შეეხება დაბალ ფასს, ეს შეიძლება მყიდველისთვის ერთგვარ „მახეს“ წაროადგენდეს და დაბალი ფასით მოხიბლული საბოლოოდ კლიენტი წამგებიან პირობებში აღმოჩნდეს. ამიტომაც დაბალი ფასის შემთხვევაში, მართალია იგი არ აღიქმება როგორც საზიანო სტადარტული პირობა, მაგრამ კონტრაჰენტი არ უნდა დარჩეს ბედის ანაბარა და სამართლებრივად დაუცველი.

14.1.2. შეუსაბამობა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან

სტანდარტული პირობის ბათილობის მეორე აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან მისი შეუსაბამობა. აღნიშნული დათქმა განსაზღვრულია შემთავაზებლისათვის, რომელმაც სტანდარტული პირობები უნდა ჩამოაყალიბოს კეთილსინდისიერად და მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.[111] გამომდინარე აქედან, სტანდარტული პირობების შეფასებისას უნდა მოხდეს ხელშეკრულების მხარეების ორმხრივი ინტერესების გათვალისწინება და შეფასება. ასეთ დროს მესამე პირთა

[109] Stadler, in JauernigOK BGB, 17. Aufl., 2018, § 307 Rn. 4

[110] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 346, ველი 17.

[111] Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 307 Rn. 5

ინტერესების გათვალისწინება არ ხდება. გასათვალისწინებელია მხოლოდ კონტრაჰენტის ნდობა ხელშკერულების კეთილსინდისიერად შესრულებასთან დაკავშირებით.

აშკარა შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე, როდესაც შემთავაზებელი მხარე არაკეთილსინდისიერად ახორციელებს თავის ინტერესებს ისე, რომ კონტრაჰენტს არანაირ კომპენსაციას არ აძლევს.[112]

სტანდარტული პირობის კეთილსინდისიერება შესაძლოა შეფასდეს „სიცხადის პრინციპის" მეშვეობითაც. რაც გულისხმობს იმას, რომ სტანდარტული პირობის ფორმულირება შეიძლება იყოს არაცალსახა და გაუგებარი[113], რამაც სეიძლება გამოიწვიოს მისი კეთილსინდისიერების პრინციპთან შეუსაბამობა და შემდგომში ბათილობა. გამომდინარე აქედან, ბათილობა რომ თავიდან იქნეს აცილებული, კონტრაჰენტის უფლება-მოვალეობები რაც შეიძება ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდ აიქნეს ჩამოყალიბებული რათა არ მოხდეს კონტრაჰენტის სამართლებრივი პოზიციების ერთგვარი „შენიღბვა" და არ წარმოიშვას იმის საფრთხე, რომ იგი სტანდარტული პირობების შინაარსის ბუნდოვანების გამო იგი თავის უფლებებს ვერ განახორციელებს.[114]

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კეთილსინდისიერების პრინციპთან შეუსაბამობას ვაწყდებით ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც შემთავაზებელი სტანდარტული პირობების ხარჯზე მაქსიმალურად ზღუდავს თავისი ვალდებულებების არეალს და ამის გამო ფაქტიურად შეუძლებელი ხდება ხელშეკრულების შესრულება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა.[115] აღნიშნული ვრცელდება უფრო მეტად ატიპიურ ხელშეკრულებებზე, რადგანაც ტიპიური სახის ხელშეკრულებებისას, თუკი სტანდარტული პირობა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპის, აქ უკვე ირთვება კანონის დისპოზიციური ნორმების მბოჭავი ძალა (კანონისმიერი პარადიგმა).

---

[112] BGHZ 120, 118; BGH NJW 2000, 1110; BGH NJW 2003, 887

[113]რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 346, ველი 23.

[114] BGHZ 104, 93; BGHZ 106, 49

[115]რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 24.08.2016, მუხლი 346, ველი 32

გერმანული სასამართლო სისტემა ადგენს, რომ შემთავაზებელს არ უნდა ჰქოდეს უფლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლები და ასევთვათ თავი დაიხსნას ძირითდი ვალდებულებებისგან, რადგანაც დაუშვებელია იმ ვალდებულებების შეზღუდვა, რომლის გარეშეც ხელშეკრულება ჯეროვნად ვერ შესრულდება და რაც მთავარია, როლის მიმართაც კონტრაჰენტს გააჩნია სამართლებრივი ნდობა.[116]

15. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობა

ქართული საკანონმდებლო სისტემა ერთმანეთისგან განასხვავებს შემთავაზებლის ურთიერთობას სტანდარტული პირობების ფორმით ფიზიკურ პირებსა და მეწარმე სუბიექტებთან მიმართებით. შემთავაზებელი, რომელიც მეწარმე სუბიექტთან ავლენს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის სურვილს, ამ უკანასკნელს შეიძლება სთავაზობდეს მრავალჯერადი გამოყენებისთვის დადგენილ პირობებს, რომელსაც ჩვენ სტანდარტული პირობების სახელით ვინცობთ. აქ შემთავაზებელი და მეწარმე სუბიექტი გარეშე პირობებისაგან დამოუკიდებლად გადაწყვეტენ უნდათ თუ არა ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა, და კანონი კი, თავის მხრივ, მიანიჭებს მათ უფლებას გამოიყენონ დადგენილ საკანონმდებლო სტანდარტებში არსებული სტანდარტული პირობები.

მეწარმე სუბიექტისაგან განსხვავებით, კანონი გარკვეული სახის რეგულირებას მიმართავს შემთავაზებელსა და ფიზიკურ პირს, კლიენტს შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს, რომელიც სტანდარტულ პირობეს შეიძლება მოიცავდეს. მაშინ როდესაც სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში საქმე გვაქვს გარკვეულწილად მსხვილ ფინანსურ თუ სახელშეკრულებო ურთიერთობებთან, აქ რასაკვირველია მოქმედებს განსხვავებული რეგულაციები. განსხვავებული საგადასახადო მიდგომა მოცემულ საკითხთან და თავისთავად სრულიად განსხვავებულად რეგულირდება მთელი

[116] BGHZ145, 203; BGHZ 149, 60, 89:

რიგი საკითხები მეწარმე სუბიექტის სამართლებრივი ბუნებიდან, მისი რესურსებიდან თუ პოტენციალიდან გამომდინარე. შესაბამისად სავსებით ლოგიკური და სამართლებრივად სწორი მიდგომაა მეწარმე სუბიექტისა და ფიზიკური პირის, როგორც ორი სხვადასხვა რესურსისა და პოტენციალის მქონე ინდივიდის დიფერენცირება მაშინ, როდესაც საქმე ხელშეკრულებით შეთავაზებულ სტანდარტულ პირობებს ეხება.

კანონმდებელი ქართულ სამართლებრივ სისტემაში სსკ-ის 347-ე მუხლით ცდილობს შეთავაზების მიმღები ფიზიკური პირი დაიცვას იმ სტანდარტული პირობების უაპელაციოდ მიღებისაგან, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარეს, ფიზიკურ პირს რთულ სამართლებრივ მდგომარეობაში აღმოჩენისაგან იხსნის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონმდებელის ეს ქმედება მაღალ სამართლებრივ სტანდარტს უსვამს ხაზს, სტანდარტს რომელიც შემთავაზებელს უსპობს საშუალებას იმოქმედოს ფიზიკური პირის წინააღმდეგ სამართლის სახელით, ხელშეკრულების პირობებში, რაც კლიენტს უმწეო, უალტერნატივო მდგომარეობაში აღმოაჩენს.

15.1 შემთვაზებლის მიერ შესრულების ვადის განსაზღვრა

კანონმდებელი მოცემული საკითხის განხილვისას აქცენტს აკეთებს ხელშეკრულებაში, სტანდარტული პირობების ფარგლებში შეთავაზებულ ვადებზე, მოცემული საკითხის განხილვისას კანონმდებელი ადგენს რომ ვადა, რომელიც ხელშეკრულების შესრულებისთვისა თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებით მეწარმე სუბექტს შეიძლება შევთავაზოთ უნდა გამომდინარეობდეს მეწარმე სუბიექტის სავარაუდო შესრულების შესაძლებლობის სტანარტიდან. რასაკვირველია მოცემულ საკითხზე კანონმდებელს აქვვს ჯანსაღი მიდგომა მაშინ, როდესაც ფიზიკურ პირს შეუსაბამო ვადის განსაზღვრისაგან იცავს. კონკრეტულ ვადაში მოიაზრება არა მხოლოდ ხელშეკრულების ვადა თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული მომქედებათა შესრულების ვადები, არამედ აქ აქცენტი კეთდება ხელშეკრულების ფარგლებში შეთავაზებული წინადადებაზე აქცეპტის ან უარყოფის ვადებს. მაშინ, როდესაც მეწარმე სუბიექტი ფლობს ვადის გახანგრძლივებისა თუ დროის „სანქციის" გადალახვის საშუალება, ეს უკანასკნელი შეიძლება ფიზიკური პირის,

როგორც სტანდარტული პირობების მიმღები კლიენტის შესაძლებლობებს აღემატებოდეს, სწორედ აქ ერთვება კანონმდებელი სამართლებრივი რეგულაციის ფორმით და აშკარა მხარდაჭერას უცხადებს კლიენტს, რომელიც არ გახლავთ მეწარმე სუბიექტი.

ზემოხსენებული შეზღუდვა ვრცელდება ვადებზე, რომლებიც შესაძლოა მეწარმე სუბიექტთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, მაგრამ ფიზიკურ პირთან მიმართებით იგი ნაკისრ ვალდებულაბათა შესასრულებლად კანონით განსაზღვრულ ვადებს სცდება, მათი განსხვავებული, შეუსაბამოდ ხანგრძლივი ან არასაკმარისად განსაზღვული ხასიათის გამო. ზემოხსენებული გარემოება არ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც შეთავაზებული ვადის, პირობის შემადგენლობის უპირობო ბათილობა. აქ კანონმდებელი კონკრეტული სტანდარტული პირობით გათვალისწინებულ ვადას შეფასების საკითხად ტოვებს. როგორც ბატონი გიორგი რუსიაშვილი სსკ-ის 347-ე მუხლის კომენტარებისას აღნიშნავს, გერმანული სამართლის სისტემის ანალოგზე მოქმედებს საკითხი "აკრძალული დათქმის ძალაში დატოვების პერსპექტივით" (Klauselverbote mit Wertungsmöglichkeit).[117] მოცემულობიდან გამომდინარე ვხვდებით საპირისპირო მიდგომასაც რომელიც საკითხს „აკრძალული დათქმები ძალაში დატოვების პერსპექტივის გარეშე" (Klauselverbote ohne Wertungsmöglichkeit)[118] უდგება. კონკრეტული განსახილველი საკითხები რომელიც სსკ-ის 347-ე მუხლშია წამოჭრილი, სტანდარტული პირობების მხოლოდ ცალკეულ დებულებათა ნამდვილობის საკითხს სვავს კითხვის ნიშნის ქვეშ.[119] კონკრეტული ვადების დადგენით კანონმდებელი ცდილობს დაიცვას შეთავაზების მიმღები, შემთავაზებლის ბერკეტისგან ვადით სპეკულირების საშუალებით შებოჭოს შეთავაზების მიმღები მიიღოს ეკონომიკური თავისუფლება. აქ საქმე გვაქვს შემთავაზებლის მცდელობასთან შეთავაზების მიმღები ეკონომიკური თავისუფლების შებოჭვით გახადოს მასზე დამოკიდებული.

როგორც უკვე აღვიშნეთ დადგენილი ვადა ინდივიდუალურ მიდგომას სჭიროებს, ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე და იგი ინდივიდუალურ შეფასებით ფარგლებში უნდა განვიხილოთ. ზოგადად ვადებზე ყურადღებას

---

[117]რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 347, ველი 2.

[118]რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 347, ველი 2.

[119] ჭანტურია ლ. სსკ-ისკომენტარი, წიგნიIII, 2001, მუხ. 347, გვ. 196

ამახილებს სსკ-ის 330-ე მუხლი, რომელიც ვალდებულებით-სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვადებს განიხილავს.[120]

სსკ-ის 347-ე მუხლის კომენტარებისას ბატონი გიორგი რუსიაშვილი ავითარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადას ზემოხსენებულ მუხლში წარმოდგენილი ა და ბ პუნქტები, რომლებიც შესრულების ვადის განსაზღვრას ითვალისწინებენ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ძირითადი და დამატებითი ვალდებულების შესრულების ასპექტში. მოცემულ საკითხში მინდა დავეთანხმო ბატონ გიორგი რუსიაშვილს, როდესაც იგი კანონით ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი თუ დამატებითი ვალდებულების იმპერატიულად განსაზღვრის შეუძლებლობაზე საუბრობს.[121] კონკრეტული ვადა უნდა გამომდინარეობდეს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან მხარეთა შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე.

15.2 შემთავაზებლის უსაფუძვლო უარის დაუშვებლობა ვალდებულების შესრულებაზე

მიუხედავად სტანდარტული პირობების ფარგლებში შემთავაზებლის ერთი შეხედვით „შეუზღუდავი ძალაუფლებისა“, კანონმდებელი ამ უკანასკნელს უდგესნ საკმაოდ ქმედით, შემაკავებელ რეგულაციაცს სსკ-ის 347-ე მუხლის „გ“ ნაწილის სახით. საკითხის კონკრეტული ფორმულირება წამოადგეს შემთავაზებლის ერთგვარ სამართლით გათვალისწინებულ მბოჭავ საშუალებას, თავიდან იქნას აცილებული შემთავაზებლის თვითნებური დამოკიდებულება ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ და მეორეს მხრივ შემთავაზებლის სურვილი, გადააკისროს პასუხისმგებლობა ხელშეკრულების მეორე მხარეს, რომელსაც ხელშეკრულების დადების პროცესში არ მისცა საშუალება “შეცნობადი რისკების”[122] აღქმისა. კანონმდებელი ცდილობს კონტროლის ქვეშ მოაქციოს შემთავაზებელი და შეუზღუდოს მას დამატებითი, კანონმდებლობით

[120] სსკ-ის 330-ე მუხლი

[121] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 12.03.2017, მუხლი 347, ველი 10.

[122] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 12.03.2017, მუხლი 347, ველი 13.

გათვაისწინებული ნორმებისაგან განსხვავებული, თვითნებურად "მინიჭებული" უფლებები. როგორც ბატონი ლადო ჭანტურია აღნიშნავს ხელშეკრულებაზე უარის ცნება მოიცავს არა მარტო ხელშეკრულებიდან გასვლას ან მის მოშლას, არამედ შეცილებისა და პირობის შესრულების გადადებასაც. [123]

15.3 შემსრულებლის უფლება ვალდებულების შეცვლა-ანაზღაურებაზე

რაც შეეხება კანონმდებლის მიდგომას ხარჯებისა და შეპირებული სამუშაოს შესახებ, აქ საგულისხმოა ის გარემოებები, რომ კანონმდებელი ხაზს უსვამს კონტრაჰენტის სამართლებრივ სტატუს, არის ის ინდივიდუალური პირი თუ წამოადგენს მეწარმე სუბიექტს. კანონმდებელი უპირობოდ აუქმებს დებულებას, რომელიც სტანდარტული პირობით ითვალისწინებს გაწეული ხარჯების შეუსაბამოდ მაღალ ანაზღაურებასა და შეპირებული სამუშაოს შეცვლას ან მისგან გადახვევას შეუთანხმებლად მაშინ, როდესაც საქმე ეხება ფიზიკურ პირს, როგორც კონტრაჰენტს. მოცემულ საკითხში სავსებით ვიზიარებ კანონმდებლის სურვილს, დაიცვას ხელშეკრულების მონაწილე ფიზიკური პირი შემთავაზებლის თვითნებური ქცევისაგან, მაგრამ საკითხის მოწესრიგება მეწარმე სუბიექტსა და კონკრეტულ შემთავაზებელს შორის საჭიროებს მეტად ფრთხილ და დეტალურ განხილვას. მაშინ როდესაც კანონმდებელი იცავს ურთიერთობის მონაწილე ფიზიკურ პირს, ვფიქრობ უნდა არსებობდეს გარკვეული მექანიზმი, რომელიც მეწარმე სუბიექტს შეუმსუბუქებს შემთავაზებლის "გადამეტებული" სურვილიდან წარმოშობილ შედეგებს.

მიმაჩნია, რომ მეწარმე სუბიექტთან შემთავაზებლის ურთიერთობა უნდა ითვალისწინებდეს საკითხისადმი მიდგომის იმ პათოსს, რომელსაც ის ფიზიკურ პირთან ადგენს.

[123] ჭანტურია, სკ-ისკომენტარი, წიგნიIII, 2001, მუხ. 347, გვ. 197.

კანონმდებელი შემთავაზებლის მიერ გაკეთებულ დათქმებს სტანდარტული პირობების ფორმატით მხოლოდ და მხოლოდ შეფასების საგნად არ აქცევს. ზემოხსენებულისგან განსხვავებით კანონმდებელ იტოვებს უფლებას შემთავაზებელს კანონის ფარგლებში დაუდგინოს სტანდარტული პირობების შინაარსის ერთგვარი სტანდარტი, როგორც ზღვარი. მაშასადამე კანონმდებელი ადგენს შემთხვევებს რა დროსაც სტანდარტული პირობა ვერ მოექცევა შეფასებითი მიდგომით გადაწყვეტილების მიღების ქვეშ, არამედ ეს უაკანსკნელი იქნება პირდაპირ ბათილი. მოცემული მიდგომა არ შეიძლება შეცდომით აღქმულ იქნას, როგორც კანონმდებლის მიერ სტანდარტული პირობის შინაარსის განსაზღვაში, ფორმულირებაში ჩარევად.

16. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის სხვა საფუძვლები

16.1. ფასების მოკლევადიანი მომატება

კანონმდებელი სტანდარტულ პირობას, რომელიც ფიზიკურ პირთან ხელშეკრულების ფარგლებში აფორმებს, ბათილობის საფუძვლად რამდენიმე კრიტერიუმს განუსაზღვრავს. საფუძველთა კლასიფიკაციას თუ მოვახდენთ, პირველ ადგილზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელშეკრულების მონაწილე მხარის სამართლებრივი სტატუსი უნდა დავაყენოთ. კანონმდებლის გადაწყვეტილებით, ფიზიკური პირისთვის შეთავაზებული ისეთი სტანდარტული პირობები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის მიმდევარ პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, უპირობოდ ბათილად ჩაითვლება. გარდა ამისა ბათილად მიიჩნევა ისეთი დებულებები, რომლებიც ეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის გაუმართლებლად მოკლე ვადებში მატებას.[124]

[124] სსკ-ის 348 მუხლის ა პუნქტი.

კონკრეტული საკითხის განხილვისას კანონმდებლის მიზანია დაიცვას არამხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე ფიზიკური პირი, არამედ ხელი შეუწყოს სტაბილური სახელშეკრულებო გარემოს შექმნას, მითუმეტეს მაშინ, როდესაც შემთავაზებელი სტანდარტული პირობების ფონზე ხელშეკრულების მონაწილე დომინანტ სუბიექტად გვევლინება. ეს უკანასკნელი დომინანტია იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების დადებისას წარმოადგენს სტანდარტული პირობების შემთავაზებელს, რომელი პირობებიც, როგორც წესი, ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესს გამოხატავს. სწორედ იმიტომ, რომ სტანდარტულ პირობებს ხელშეკრულებს მეორე მხარე, უმეტეს შემთხვევაში, უაპელაციოდ იღებს დაუშვებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის სტანდარტული პირობების საფარქვეშ გაზრდა, რაც შემთავაზებლის ცალმხრივი გადაწყვეტილების შედეგს წარმოადგენს.

კონკრეტულ შემთხვევაში რომ არა კანონმდებლის ნება დაიცვას ხელშეკრულების მეორე მხარე, ეს უკანასკნელი იძულებული იქნებოდა გაზრდილი ფასი უაპელაციოდ მიეღო ან უარი ეთქვა ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, რაც თავის მხრივ სტანდარტული პირობების შემთავაზებელ მხარეს სამართლებრივად დომინანტურ მდგომარეობაში ჩააყენებდა და უკვე სამართლის გზით ექნებოდა მას საშუალება „დაესაჯა“ ხელშეკრულების დამრღვევი მხარე.

მოცემული ნორმის მიზანია არამხოლოდ ზემოხსენებული ინტერესის გატარება, არამედ კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება არსებულ ბაზარზე.[125] მოცემული ნორმა არ შეიძლება აღვიქვათ, როგორც ფასის ზრდის ყველანაირი შესაძლებლობის უარყოფა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კლიენტი ვალდებული იქნება გადაიხადოს გაზრდილი ფასი, რომელიც ხელშეკრულების დადების შემდგომ გაიზარდა, თუკი ამ უკანასკნელის ზრდა უკავშირდება ისეთ დამატებით ხარჯებს, როგორებიცაა, ნასყიდობის ხელშეკრულების მაგალითზე, გარკვეული საგნის შეფუთვა ან ტრანსპორტირება.[126] კანონმდებელი მნიშვნელობას ანიჭებს, კონკრეტული პირობის ბათილად ცნობისას, ფასის ზრდის შეთავაზებასა და დოის ინტერვალს შორის დამოკიდებულებას. მარტივად რომ ვთქვათ, კანონმდებელი უპირობოდ ბათილად მიიჩნევს ფასის მოკლევადიან პერსპექტივაში გაუმართლებლად ზრდას. რაც შეეხება გრძელვადიან

[125] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 348, ველი 4.
ბოლო დამუშავება.
[126] Stadler, in JauernigOK BGB, 17. Aufl. 2018, § 309Rn. 2

სამართლებრივ ურთიერთობებს, აქ კანონმდებელი უშვებს ვარაუდსა და ერთგვარ შესაძლებლობას, მოხდეს ფასის ზრდა გრძელვადიან პერსპექტივაში, იმ მიზეზით, რომ გარეშე პირობები, ბაზარზე არსებული ფასები და ტრანზაქციების ღირებულების ცვალებადობა მუდმივ დინამიკაშია. კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ფასის მომატება უფრო მეტად არის გამართლებული გრძელვადიან პერსპექტივაში, ვიდრე მოკლევადიან და ერთჯერად ურთოერთობებშ.[127]

მნიშვნელოვანია ფასის ზრდის გაუმართლებლად მოკლე ვადის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის სამომავლო პერსპექტივა განვიხილოთ. საკანონმდებლო დონეზე ვთანხმდებით, რომ კონკრეტული სახით ფასის მატება დაუშვებელია და იგი სტანდარტული პირობის ბათილად ცნობას უნდა იწვევდეს, მაგრამ საკითხავია გამოიწვევს თუ არა ეს ყოველივე კონკრეტული პირობის იმგვარ ბათილობას, რომ შემთავაზებელს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე, რომელიც მას ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მიმართ გააჩნია, უარი თქვას. კონკრეტულ შემთხვევაში, თუ საკითხი ამ უკანასკნელი მიდგომით დარეგულირდებოდა, შემთავაზებელი კიდევ ერთხელ აღმოჩნდებოდა ერთგვარ პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რომელიც ფასის გაუმართლებლად მოკლე ვადაში შეცვლის შესაძლებლობას გამოიყენებდა, როგორც ფარს, უარი ეთქვა ხელშეკრულებით ნაკისრ სამომავლო ვალდებულებებზე.

მოცემულ შემთხვევაში ბათილია მხლოდ ახლადშეთვაზებული ანუ გაზრდილი ფასი. ძირითადი ფასი კი ინარჩუნებს ხელშეკრულებთ გათვლისწინებულ თავდაპირველ ძალას და მოქმედებს უწინდებური ძალით.

16.2 შესრულებაზე უარის თქმის უფლება

კანონმდებელი ასევე უპირობოდ ბათილად მიიჩნევს ისეთ სტანდარტულ პირობას, რომელიც ხელშეკრულების მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების

[127] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 348, ველი 5.

შესრულებაზე უარის თქმის ან შესრულების დაკავების უფლებას ართმევს.[128] მოცემული გადაწყვეტილებით კანონმდებელი არამარტო იცავს კონტრაჰენტს შემთვაზებლის თვითნბობისგან, არამედ აშკარა მხარდაჭერას აფიქსირებს კონტრაჰენტის კერძო ავტონომიის მიმართ. მოცემული მიდგომით კანონმდებელი, ერთის მხრივ, შემთვაზებელს ართმევს სახელშეკრულებო დიქტატის უფლებას, აუკრძალოს რა ამ უკანასკნელმა ჰონტრაჰენტს ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან შესრულების დაკავება, მეორეს მხრივ კი კლიენტს ნათლად წარმოუჩენს მისი პასუხისმგებლობის ფარგლებს. კლიენტი, რომელიც გადაწყვეტს უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, პასუხისგება უნდა დაეკისროს სამართლის ნორმებით და არა შემთავაზებლის სურვილის გამო. იგივე წესი ვრცელდება დაკავების უფლების განხორციელებაზე, როდესაც კონტრაჰენტი იტოვებს უფლებას თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედების შესრულებისაგან მანამ, სანამ იგი არ მიიღებს აპასუხო შესრულებას.

გერმანული სამართლის სისტემის მხიედვით, დასაშვებია იმ საპირირსპირო მოთხოვნის რეგულირება, რომელზეც დაკავების უფლება არ ვრცელდება. კონკრეტულ შემთხვევაში გერმანული სამართლის სისტემა ყურადღებას ამახვილებს მსგავსი სახით ფორმულირებულ სტანდარტულ პირობაზე, რომელიც უნდა შეიცავდეს წინასწარი შესრულების დათქმას.[129]

თუ გერმანული სამართლის სისტემიდან გამოვალთ, მეწარმეთა შორის ურთიერთობებში დასაშვებად მიიჩნევა სტანდარტულ პირობებში დაკავების ულებაზე უარის თქმა.[130] მოცემულ საკითხს განიხილავს ბნ. გიორგი რუსიაშვილი, სსკ-ის 348 მუხლის კომენტარში.[131]

[128] სსკ-ის 348 მუხლის ბ პუნქტი
[129] Stadler, in JauernigOK BGB, 17. Aufl. 2018, § 309Rn. 3
[130] BGHZ 115, 327
[131] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 348, გვ. 5.

16.3 ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის აკრძალვა

რაც შეეხება ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის შესახებ აკრძალვის ბათილობას, აქ კანონმდებელი აქცენტს კლიენტის, კონტრაჰენტის ინტერესთა დაცვაზე აკეთებს, რითაც შემთავაზებელს საკმაოდ მკაფიო სიგნალს უგზავნის იყოს კეთილსინდისიერი ნაკისრ ვალდებულებებთან მიმართებით, კანონმდებლის მიზანია კონკრეტული ნორმის ბათილობით მისცეს ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეს საშუალება გაიმყაროს და დაიცვას თავისი სამართლებრივი პოზიციები.[132] გამოიყენოს შესაძლებლობა დაუპირისპირდეს შემთავაზებელს, რომელიც ცდილობს ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის გაქვითით გაიმყაროს საკუთარი პოზიციები და დაიკმაყოფილოს საუკეთესო ინტერესი კონტრაჰენტისთვის ამ უკანასკნელი უფლების შეზღუდვით შემთავაზებელი იქმნის სამომავლო პერსპექტივას, იმოქმედოს მხოლოდ საკუთარი საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით და შებოჭოს ხელშეკრულების მეორე მხარე რაიმე სამართლებრივი, საპასუხო ქმედების განხორციელებაში. მაშინ, როდესაც შემთავაზებელი იმოქმედებს გაქვითის უფლების ფარგლებს გარეთ მას შეუძლია დაეყრდნოს საკუთარ რესურს და მანამ შეინარჩუნოს "სტატუსკვო" სანამ კონტრაჰენტს არ აიძულებს სამართლებრივი თუ მატერიალური რესურსის ამოწურვის გამო უპორობდ დაითახმოს საკუთარ თამაშის წესზე, რაც თავის მხრივ გამოიხატება ხელშეკრულების იმ პირობების წარდგენით, რომლებიც მისთვის ყველაზე მისაღები იქნება.

კონკრეტულ შემთხვევებში თუ მოცემული ნორმა არ იქნებოდა ბათილი, შემთავაზებელს ექნებოდა საშუალება საკუთარი რესუსრსის გათვალისწინებით საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩაეყენებინა ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარე, რომელსაც "გადარჩენისთვის" მხოლოდ სასამართლოსთვის მიმართვა შეეძლებოდა,[133] ეს უკანასკნელი კი რიგ შემთხვებში საკმაოდ დიდ ხარჯებთან და დროსთან იქნებოდა დაკავშირებული, რისი რესუსრიც მხარეს შესაძლოა არც გააჩნია. სწორედ შემთავაზებლის რესუსრებით სპეკულირებას უშლის ხელს მოცემული ნორმა და იცავს კლიენტს მსაზე რესურსით ძლიერი შემთავაზებლის არაკეთილსინდისიერი ქმედებისგან. გერმანული სამართლის სისტემის თანახმად, როგორც ამას ბატონი გ.რუსიაშვილი სსკ-ის 348-ე მუხლის

[132] ჭანტურია ლ. სსკ-ისკომენტარი, წიგნიIII, 2001, მუხ. 348, გვ. 206
[133] Stadler, in JauernigOK BGB, 17. Aufl. 2018, § 309Rn. 4

კომენტარებისას ეხება,[134] გაქვითის აკრძალვად სსკ-ის 348-ე მუხლი, გერმანული სამართლის სისტემის ანალოგიით, მიიჩნევს სტანდარტული პირობის შემთავაზებლის თანხმობაზე დამოკიდებულად ქცევას.[135] შეიძლება ითქვას უალტერნატივო იძულებით აქცეპთთან გვაქვს საქმე. კანონმდებელის კონკრეტული მიდგომა იმთავითვე ეხება შემთავაზებლის მხრიდან იმგვარ აკრძალვას, რომელიც კლიენტისათვის მოულოდნელია. მაშინ როდესაც კლიენტი ვერ სარგებლობს საკუთარი კანონიერი უფლებით მხოლოდ იმის გამო, რომ ეს შემთავაზებელს სურს კანონმდებელი შემთავაზებლის ამ სურვილს აუქმებს კონკრეტული ნორმებით. მაგრამ საკითხავია რა იქნება თუ შემთავაზებელი და მხარე შეთანხმდებიან კონკრეტულ პირობაზე და მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში არ გამოიყენებენ გაქვითის უფლებას. აქ საქმე სულ სხვაგვარად წამოჩინდება და თუ დავუკვირდებით კოკრეტულ პირობაზე შეთანხმება ამ უკანასკნლეს ჩამოაცილებს სტანდარტული პირობის სახელს. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გერმანული სამართლის სისტემაში თანხმდებიან, რომ შეთანხმება რომელიც შედგება მხარეებს შორის კანონით გათვალისწინებული ფორმით, გაქვითვის უფლების გმორიცხვის შესახებ წარმოადგენს მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებას და მხარეები ამ უკანასკნელი უფლების გამოყენებას ხელშეკრულების ფარგლებში წინასწარი შეთახნმებით გამორიცხავენ.[136] მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გერმანელ კანონმდებლებს აქვთ საკუთარი მიდგომა, რომლის ძირითადი არსიც მდგომარეობს ხელშეკრლების მონაწილე ორივე მხარის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებით კონკრეტული შესაძლებლობის გამოყენების „აკრძალვაში“.

ჩვენს მიერ განხილული გაქვითვის აკრძალვა არ შეიძლება გავიგოთ როგორც მხოლოდ ფიზიკურ პირთან ხელშეკრულებიდან გამომდინარე აკრძალვის ნორმის ბათილობა. როგორც ბატონი გიორგი რუსაიშვილი სსკ-ის 348-ე მუხლის კომენტარებისას აღნიშნავს,[137] იზიარებს რა გერმანულ სამართლის სისტემაშო განვითარებულ მოსაზრებას და აღნიშნავს რომ გაქვითვის აკრძალვის

[134] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 348, ველი 10.
[135] BGH NJW 2007,3421.
[136] BGH NJW 1995, 254.
[137] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 348, გვ.6.

ნორმის ბათილობა მეწარმე სუბიექტებს შორის არსებულ ურთიერთობაზეც ვრცელდება.[138]

გერმანული სისტემის მოცემული მიდგომა ემსახურება მეწარმე სუბიექტთან თუ მათ შორის არსებულ უერთიერთობაში, ამ უკანასკნელთა დაცვას "დაუშვებელი დაზიანებისგან".[139]

16.4 გაფრთხილება ვალდებულების შესრულების შესახებ; ვადის დანიშვნა

საკმაოდ ჯანსაღად შეიძლება შევაფასოთ კანონმდებლის მიდგომა ისეთი სტანდარტულ პირობასთან მიმართებით, რომელიც შემთავაზებელს ათავისუფლებს მხარისათვის შესრულების ვადის შეხსენების ან დამატებითი ვადის დანიშვნისგან. მოცემულ საკითხში საკმაოდ მკაცრია კანონმდბელის მიდგომა მითუმეტეს მაშინ, როდესაც სსკ-ის 394-ე, 405-ე მუხლებით სავალდებულოა პირს განესაზღვროს შეახსენოს კრედიტორმა ვადამოსული ვალდებულების შესახებ ან განუსაზღვროს მას დამატებითი ვადა მის შესასრულებლად. მოცემულ საკითხში კანონმდებელი კიდევ ერთხელ ეუბნება შემთავაზებელის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნის სურვილს არას. კანონმდებელი იცავს კონტრაჰენტს შემთავაზებლის განძრახი, არაკეთილსიდისიერი "უყურადღებობისა" თუ "გულგრილობისაგან" მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი კლიენტს არც ვადამოსული ვალდებულების შესრულებას ახსენებს იმ იმედით, რომ კონტრაჰეტს შეიძლება გამორჩეს როს გამოც შესაძლოა მოუწიოს ორმაგი პასუხისგება. გარდა ამისა კანონმდებელი ამ უკანასკნელს აძლევს ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შანსს, მაშინ როდესაც შემთავზებელს ავალდებულებს დამატებითი ვადის განსაზღვრას.

მოცემული მსჯელობით არ შეიძლება გამოვრიცხოთ სსკ-ის 394-ე და 405-ე მუხლების მე_3 და მე-2 ნაწილების დათქმა, სადაც კანონმდებელი ვადის განსაზღვრას ან შესრულებაზე გაფრთხილებას ზედმეტად მიიჩნევს თუ სახეზე ისეთი გარემოებები რომლებიც ამ უკანასკნელი ქმედების განხორციელებას აზრს

[138] BGH NJW 1994, 658; NJW 2007, 3421;BGHZ 92, 312.
[139] BGH NZM 2016, 585

უკარგავენ. ზემოხსენებული ნორმა კანონმდებლის მიერ გადადგმული სამართლერივად მაღალი პასუხისმგებლობის სტანდარტის მატარებელია იმდენად, რამდენადაც იცავს კონრაჰენტს შემთავაზებლის არაკეთილსინდისიერი მისწრაფებისა და "სახელშეკრულებო დომინანტობისაგან".

16.5 ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა

რაც შეეხება ზიანსა და მის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს აქ კლიენტი მიუხედავად კანონმდებლის უპირობო მხარდაჭერისა საკმაოდ ყურადღებით უნდა გაეცნოს სტანდარტულ პირობას, რომელსაც მას შემთავაზებელი უნდგენს. კანონმდებელი უპირობოდ ბათილად მიიჩნევს შეთანხმებას ზიანის იმ ოდენობაზე, რომელიც ზანის რეალურ ოდენობაზე მეტი თანხის მოთხოვნას ითვალისწინებს. ესაა ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა.[140] კონკრეტული საკითხის განხილვისას არ შეიძლება ერთმანეთში აგვერიოს სტანდარტული პირობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, როგორც ხელშეკრულების პირობის წაყენბა და მიყენებული ზიანისათვის როგორც სანქციის სახით მოთხოვნილი კოლოსალურად დიდი ოდენობა. მოცემული საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად კანონმდებლობა სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ გამორიხვას ზიაის ოდენობის მიახლოებით განსაზღვრის შემთხვევებს. კონკრეტული შეიძლება გამხატული იყოს პროცენტულად დადგენილ ოდენობაშიც, მაგრამ კანონმდებელი დაუშვებლად მიიჩნეს ზიანის ოდენობის უპირობო დადგენას და მისი ანაზღაურების უპირობო მოთხოვნას ხელშეკრულებიდან გამომდინარე. აქ უნდა აღნინიშნოს, რომ ზიანის მიმყენებელი არ არის ვალდებული პასუხი აგოს დაუთვლელი, შეუფასებელი ან ისეთი ზიანის გამო, რომლის დადგომაშიც ამ უკანასკნელის ბრალეულობა ჯერ არ არის გამოკვეთილი. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სტანდარტული პირობები შეთავაზებულ უნდა იქნას იმ შინაარსითა და ფორმულირებით, რომ შეთავზების მიმღებ მხარეს, კლიენტს, კონტრაჰენტს ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეეძლოს ზიანის ნაკლები ოდენობის თუ დამდგარ ზიანში მისი ბრალეობის

[140] სსკ-ის 348-ე მუხლის ე პუნქტი

მტკიცება.[141] კანონმდებელი დაუშვებლად მიიჩნევს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დამდგარ ყველა ტიპის ზიანზე გარკვეული ოდენობის, მყარად განსაზღვრული ოდენობის დადგენას. კანონმდებლელს გაზიარებული აქვს გერმანული სამართლის სისტემის მიდგომა, რომელიც გამორიცხავს ყველა შემთხვეისათვის მყარად განსაზღვული ოდენობით ზიანის უპირობო ანაზღაურებას და ამავდროულად აღიარებს, რომ ზიანის დადგომასთან მიმართებით თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, რის შემდეგაც უნდა მოხდეს ზიანის რეალური ოდენობის და რეალური ბრალეულობის განსაზღვრა, რასაც თავის მხრივ მოყვება პასუხისმგებლობა სამართლის ნორმათა დაცვით.[142]

16.6 პასუხისმგებლობის შეზღუდვა გაუფთილებლობის გამო

ზემოხსენებული შემთხვევის მსგავსად კანონმდებელი უპირობოდ ბათილად მიიჩნევს ხელშეკრულებით შეთავაზებულ იმ სტანდარტულ პირობას, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს შემთავაზებლის პასუხისმგებლობას მხარის წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მის წარმომადგენლის მიერ ვალდებულების უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევის გამო.[143] რასაკვირველია შემთავაზებელს სტანდარტული პირობის გამოყენებით აქვს გაცხოველებული სურვილი მიიღოს რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნაკლები პასუხისმგებლობის ხარჯზე. როგორც წესი, შემთავაზებელი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს მიმართაავს მაშინ, როდესაც შეთავაზების მიმღების უალტერნატივო მდგომარეობა მისთვის საკმაოდ ნათელია. მაგალითიათვის სეგვიძლია ავიღოთ საბანკო ურთიერთობებში არსებული მავნე პრაკტიკა. მავნე იმდენად, რამდენადაც საბანკო სექტორში გაბატონებული სტანდარტული პირობები, ხშირ შემთხვევაში, არსებულ ბაზარზე ერთადერთ ალტერნატივას წარმოადგენს და ხელშეკრულების მეორე მხარს არ აქვს შესაძლებლობა ეძიოს უკეთეს ალტერნატივა. სწორედ ამიტომ შემთავაზებელი დარწმუნებულია, რომ

[141] BGH WM 2010, 1330; Stadler, in JauernigOK BGB, 17. Aufl. 2018, § 309Rn. 6.

[142] OLG Düsseldorf WM 1985, 770; BGH NJW 1988, 1968: მყარი პროცენტები ვადის გადაცილებისათვის; BGH NJW 2003, 1802.

[143] სსკ-ის 348-ე მუხლის ვ პუნქტი.

მხარე, რომელიც მოკლებულია არჩევანის თავისუფლებას „თავისუფალ სახეშეკრულებო ბაზარზე“ იძულებულია დაეთანხმოს შემთავაზებლის მიერ წამოყენებულ სტანდარტულ პირობებს. რომ არა კანონმდებლის ნება, დაიცვას მგავსი „კეთილსინდისიერი“ შემთავაზებლისგან კლიენტი, ეს უკანასკნელი აღმოჩნდებოდა შემთავაზებლია მავნე ზეგავლენის ქვეშ და წაერთმეოდა თავაცვის, ზანის ანაზღაურების მოთხოვნის ყველანაირი სამართლებრივი ბერკეტი.

სწორედ ზემოხსენებული უსამართლობისგან დაცვას ემსახურება კანონმდებლის მიერ შემუშავებული ნორმა, რომელიც შემთავაზებელს არათუ უზღუდავს მსგავსი შინაარსის სტანდარტული პირობის გამოყენების უფლებას, არამედ აიძულებს მას ითამაშოს კეთილსინდისიერად. კანონმდებლის მიერ გამოვლენილი ნება ნათელი მაგალითია მაღალი სამართლებრვი სტანდარტისა, რომელიც სახელსეკრულებო თავისუფლების პირობებში მაქსიმალურად ცდილობს ხელსეკრულების მონაწილეთა ინტერესების დაცვას და ორი განსხვავებული სიციალური მდგომარეობისა თუ შესაძლებლობის მქონე მხარის კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფას.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული მსჯელობა ვრცელდება იმ ზიანის ანაზღაურების აუცილებლობაზე, რომელიც დადგა უხეში გაუფრთხილებლობით და რომლისგანაც თავის არიდებას, სტანდარტული პირობის გამოყენებით, ცდილობს შემთავაზებელი. ეს უკანასკნელი საკითხს უდება პრინციპით: „ გინდა მიიღო ხელსეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება თუ სარგებელი? მასინ ითამაშე ჩემი წესებით და ნუ დაელოდები ზიანის შემთხვევაში საპასუხო, კანონით გათვალისწინებულ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესრულებას.“ შემთავაზებლის ამ **სამართლებრივ თავხედობას** კანონმდებელი საკმაოდ მკაცრად პასუხობს, „ ! თამაშის წესებს ადგენს კანონი და შემთავაზებელს აძლევს სახელსეკრულებო თვისუფლებას კანონის მიერ დადგენილ ფარგლებში“. მოცემული ნორმის მოქმედება უნდა გავრცელდეს ასევე დელიქტურ მოთხოვნებზე. დელიქტური მოთხოვნებიდან გამომდინარე ეს პირობა უნდა დარჩე ძალაში. აღნიშნულ მიდგომას იზიარება გერმანული სამართლის სისტემა[144], რომელიც არამხოლოდ შემთავაზებლის უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის, არამედ დელიქტით გამოწვეული ზიანისთვისაც ადგენს პასუხისმგებლობას და ყოველგვარ შეთანხმებას, სტანრტული პირობით ასეთი

[144] Wurmnest, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl., 2016, § 309Rn. 8

პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ, მიიჩნევს ბათილად. ზემოხსენებული ვრცელდება, როგორც უშუალოდ შემთავაზებლის ასევე მისი წარმომადგენლის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შემთხვევებზე. შეუძლებელია შემთვაზებელი არ იყოს პასუხისმგებელი მისი წარმომადგენლის მიერ მიყენებულ ზიანზე და იგი ამოეფაროს წარმომადგენლის ზიანის მომტან, არაკვალიფიციურ ქმედებას. წარმომადგენელი მოქმედებს შემთვაზებლის ინერესებიდან გამომდინარე და მისივე დავალებით, დამდგარ ზიანზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემთავაზებელს და სტანდარტული პირობებით პასუხისმგებლობის გამორიცხვა დაუშვებელია.[145]

იგივე წესი მოქმედებს მეწარმეთაშორის ურთიერთობებზეც, როგორც მეწარმის წარმომადგენლის, ისე უშუალოდ მეწარმის მიერ გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანს შემთხვევებზე.[146]

საკითხავია მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობის დროს მიყენებული ზიანის გამორიცხვის დაუშვებლობაა მისაღები, თუ უხეშ გაუფთხილებობამდე არსებული ნებისმიერი სახის ზიანის გამორიცხვაა აკრძალული თუ მისაღები. უხეში გაუფრტხილებლობა არ შეიძლება იყოს კონკრეტული სტანდარტული პირობის ბათილობისთვის აუცილებელი ერთადერთი წინაპირობა. ზიანი, იქნება იგი უბრალო თუ განზრახი გაუფრთხილებლობით, მაინც ამცირებს კონკრეტული დზარალებული პირის სამართლებრივ სიკეთეს. ამდენად, ყოველგვარი ზიანი უნდა ფასდებოდეს ანაზღაურების თნაბარი სტანდარტით.

348 მუხლის კომენტირებისას მნიშვნელოვან მოსაზრებას აყალიბებს ბნ. გიორგი რუსიაშვილი, რომელიც „ უხეში გაუფრთხილებლობის თამასამდე პასუხიმგებლობის გამორიცხვას“ დაუშვებლად მიიჩნევს.[147]

---

[145] BGH WM 1989, 855.

[146] BGH NJW 1974, 900; BGH NJW-RR 2015, 738; BGH NJW 2007, 759; BGH NJW 2007, 37744

[147] ბნ. გიორგი რუსიაშვილი ავითარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც „348 ზ) მუხლი ნამდვილად ვერ ჩაითვლება ნათლად და ცალსახად ფორმულირებულად, განსაკუთრებით მეორენაწილში: „ ... ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან „ვ“ ქვეპუნქტის საწინააღმდეგოდ ეზღუდება ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება“ . ამ ფორმულირების სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ 348 ზ) მუხლის მიხედვით პირობა ბათილია, თუ ის ეწინააღმდეგება 348 ვ) მუხლს, რაცყოველგვარ აზრსმოკლებულია, ამიტომაც ერთ-ერთი ლოგიკური განმარტება ამ დანაწესისა შეიძლება შემდეგი იყოს: ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა, რომელიც დასაშვები იქნებოდა 348 ვ) მუხლისმიხედვით, არა ნამდვილი იქნება„ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ის ეხება ე. წ. ძირითად ვალდებულებას.“

16.7 ძირითადი ვალდებულების დარღვევა

ზემოხსენებულ პათოსს იზიარებს სსკ-ის 348 მუხლის ზ) პუნქტის დეფინიცია. თუ წინამდებარე შემთხვევაში საუბარია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამომრიცხველი სტანდარტული პირობის კანონის ნორმით ბათილობაზე, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი შემთავაზებელს არ აძლევს უფლებას, რომ ამ უკანასკნელმა ძირთადი ვალდებულების შეუსრულებლობა სტანდარტული პირობით გაამართლოს. უფრო კონკრეტულად, შემთავაზებელი, რომელიც სტანდარტული პირობით ცდილობს შეიქმნას ერთგვარი სამართლებრივი ჯავშანი მაშინ, როდესაც იგი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს ისე, რომ მეორე მხარე მოკლებული იქნება შესრულების თუ პირობის დარღვევის გამო ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობა. კანონმდებელი მოცემული სტანდრტული პირბის ფორმულირებას უპირისპირებს სსკ-ის 348 მუხლის ზ) და ვ) პუნქტებს. მოცემული გადაწყვეტილებით კანონმდებლის მიზანია დაიცვას ხელშეკრულების მეორე მხარე უპასუხისმგებლო შემთავაზებლისგან. არსებული მოცემულობა არ შეიძლბა გავიგოთ, როგორც სტანდარტული პირობით გათვალისწინებული შემთხვევის უპირობოდ დადგომა. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ფაქტის დადგომა ალბათობის საკითხია, კანონმდებელი იმთავითვე უკრძალავს შემთავზებელს აირიდოს საკუთარი წილი პასუხისმგებლობა დარღვევის ან დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობის გამო.

16.1.1 ძირითდი ვალდებულება

ძირითადი ვალდებულების ქვეშ, როგროც ამას ბნ. გიორგი რუსიაშვილი გერმანული სამართლის სისტემაზე დაყრდნობით განმარტავს[148], იგულისხმება „ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე ვალდებულება, რომელთა შეზღუდვა-გამორიცხვით საქმე ეხება ხელშეკრულების მიზნის მიღწევას“.[149] კონკრეტულ

[148] რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 348, ველი 23.

[149] BGHNJW 1968, 1567; BGH NJW 1990, 764; BGH NJW-RR 2005, 1496; BGH ZIP 2002, 222; BGH NJW 1988, 1785; BGH NJW 1984, 1350.

შემთხვევაში კანონმდებელი აქცენტს ძირითად ვალდებულებაზე აკეთებს იმდენად, რამდენადაც სწორედ ძირითადი ვალდებულების შესრულებაა ხელშეკრულების მთვარი მიზანი. რაც არ უნდა ისაუბროთ მოცემული საკითის გარშემო, ნორმის ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში: დაიცვას კონტრაჰენტი შემთვაზებლის უპასუხისმგებლო ქმედებისაგან და ხელი შეუწყოს სტაბილურ სახელშეკრულებო გარემოს. შემთავაზებელი, რომელიც მოქმედებს დაუსჯელობის სინდრომით, თავისი მოქმედებით ქმნის არასტაბილურობის განცდას და რიგ შემთხვევებში აზრს უკარგავს სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიეთობას. მე, როგროც კონტრაჰენტი, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ხელშეკრულება ემსახურება ჩემთვის სასურველი მიზნის მიღწევას, თუ რის გამოც დავდე კონკრეტული ხელშეკრულება და უნდა ვგრძნობდე, რომ კანონი როგორც დამცავ-მარეგულირებელი საშუალება ხელსეკრულებასთნ მიმართებით იქნება ფუნქციური.

მოცემული მუხლის დეფინიცია ვრცელდება შემთავაზებლის მიერ ფორმულირებულ ნებისმიერ სტანდარტულ პირობაზე, რომელიც მიზნად ისახავს შემთავაზებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვას, შეზღუდვას ან არიდებას. აღნიშნული ნორმა არის გარანტი იმისა, რომ შემთავაზებელი ვერ იმოქმედებს თვითნებურად, კლიენტის საზიანოდ, კანონის ფარგლებს გარეთ.

16.8 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა

სტანდარტული პირობის ბათილობის პრინციპი ვრცელდება ისეთ სტანდარტულ პირობაზეც, რომელიც კონტრაჰენტს შეუსრულებელი ხელშეკრულების გამო ზიანის ანაზღაურების ან ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში ხელშკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას ართმევს. მოცემულ შემთხვევაში, რასაკვირველია, კონტრაჰენტს არ აქვს უფლება იმოქმედოს სსკ-ის 394- 405 მუხლების პრინციპების უგულებელყოფით. მას შემდეც, რაც კონტრაჰენტი კანონით გათვალისწინებულ ყველა ბერკეტს გამოიყენებს იმისთვის, რომ მიიღოს შესრულება, დაცული იქნება იმ სტანდარტული პირობისან, რომელიც მას

ხელშეკრულებიდან გასვლის, შესრულების მოთხოვნის თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას უფლებას ართმევს.

გერმანული სამართლის სისტემის მაგალითზე დაუშვებელია შეთანხმება სტანდარტულ პირობებზე მიღწეულ იქნას ნაწილობრივ შესრულებასა და ნაწილობრვ ანგარიშსწორებაზე დათანხმების იძულებით.[150]

16.9 პასუხისმგებლობა ნაკლისთვის

გარდა ზემოხსენებული შინაარსს მქონდე სტანდარტული პირობებისა, კანონმდებელი ბათილად თვლის ყველა სტანდარტულ პირობასა თუ მისგან გამომდინარე დებულებას, რომლებიც კანონისაგან განსხვავებული წესებისაგან განსხვავებით ზღუდავნ ახლადწარმოებული საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების შესრულების შემთავაზებლის პასუხისმგებლობას ნივთის ნაკლის გამო.[151] მოცემული ნორმიდან გამომდინარე, ბათილია ნებისმიერი სტანდარტული პირობა, რომელიც ადგენს ნაკლისათვის მოქმედი პირის პასუხისმგებლის გამორიცხვას. თითოეული შემთხვევა მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. დაუშვებელია პასუხისმგებლობის გამორიცხვა თვიდანვე იქნას შეთანხმებული მხარეთ შორის, თუნდაც იგი ეხებოდეს მესამე პირის პასუხისმგებლობას. მთელი 348 მუხლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შემთავაზებელს სტანდარტული პირობების გამოყენებით არ მიეცეს საშუალება წინასწარ მიიღოს გარანტიები პასუხისმგებლობის თავიდან აცილების შესახებ. მოცემული მუხლი შემთვაზებელს აბრუნებს კანონის წინაშე თანასორობის სივრცეში.

[150] Schwab, AGB-Recht, 2. Aufl., Heidelberg 2014, Rn. 843
[151] სსკ-ის.348-ე მუხლის ი პუნქტი

დასკვნა

ჩვენს მიერ განხილული თითოელი საკითხი ნათელყოფს, რომ სტანდარტული პირობების უკეთ აღსაქმელად და სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამოსაყენებლად კიდებ ბევრი მუშაობაა საჭირო. ერთია ჩამოაყალიბო ნორმა რომელიც იმპერატიულ ხასიათის მატარებელია და მეორეა შეძლო ამ ნორმას სული შთაბერო. ნორმა, რომელიც არ ემსახურება და ვერ უზრუნველყოფს იყოს სიცოცხლისუნარიანი, არა თუ პოზიტიურ შედეგს იძლევა, არამედ არღვევს იმ მთავარ პრინციპს რასაც კანონის წინაშე თანასწორობა ქვია. მოცემულ შემთხვევაში მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მიუხედავად სტანდარტული პირობის კლასიკური გაგებისა, კანონმდებელი იყენებს საკმაო საშუალებას იმისთვის, რათა სტანდარტული პირობებით მანიპულირება და შემთავაზებლის თვითნებობა აცილებულ იქნას თავიდან. მისასალმებელია გერმანული სამართლის სისტემაზე დაფუძვნებული გამოცდილების გაზიარება კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. დასკვინს სახით შეიძლება ითქვას, რომ კანონის ნორმა უნდა ემსახურებოდეს სოციუმს და პოზიტიურ გავლენას უნდა ახდენდეს ამ უკანასკნელზე. თითოეული ნორმა დროში გამოიცდება და ასეთად შეიძლება მივნიჩნიოთ სტანდარტული პირობებიც, რომლის განვითარებაც სახელშეკრულებო კულტურის განვითარების თანმდევი იქნება. მიუხედავად კანონმდებლის მიერ ჩამოყალიბებული ამკრძალავ-შემაკავებელი ნორმებისა, საჭიროა სახლეშეკრულებო ურთოერთობებში სტანდარტული პირობების აქტიური გამოყენება, რამეთუ მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით გამოყენებისას შეიძლება გამოიკვეთოს ის ქმედითი ასპექტები რაც სტანდარტული პირობის დახვეწას, შესწორებას თუ მათ საწინააღმდეგო ამკრძალავ-შემაკავებელ საშუალებებს შეაქმნევინებს კანონმდებელს. ისევ და ისევ იმისთვის, რომ გავიგოთ არის თუ არა ეს უკანაკნელი ნორმა კანონმდებლის ღირებული მონაპოვარი, საჭიროა მისი ქმედითი გამოყენება. ჩემი აზრით, სტანდარტული პირობების აქტიური გამოყენების საწყის ეტაპზე გამოიკვეთება კიდევ მრავალი დამატებითი ასპექტი რაც კანონმდებელს ამ უკანაკსნელთა რეგულირების სრულყოფაზე მუშაობის საკმაოდ დიდ სტიმულს მისცემს. საბოლოოდ კი შეიძლება აღინიშნოს რომ პოზიტიურია გერმანული სამართლის სისტემის გამოცდილების გათვალისწინება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ეს უკანაკსნელი მაინ ქართულ სამართლის სისტემაში, ქართულ რეალობაში საჭიროებს აქტიურ გამოცდას.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართული ნორმატიული მასალა

1.საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

უცხოური ნორმატიული მასალა

1. BGH NJW, 2002;
2. BGH NZM 2016;
3. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი.

სასამართლო გადაწყვეტილებები

სუსგ №ას-1225-1245-2011

ქართული სამეცნიერო ლიტერატურა

1. კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009;
2. ძლიეშვილი/ცერცვაძე/ სვანაძე/ რობაქიძე/ ჯანაშია სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014;
3. რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 21.03.2017;
4. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2 გამოცემა, 2013 წ;
5. სერგი ჯორბენაძე, ხელშეკრულების თვისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი 2016;
6. ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011წ;
7. ჭანტურია/ ზოიძე/ ნინიძე/ შენგელია/ ხეცურიანი/ სსკ-ის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001;
8. დ. კაკოიშვილი ნაშრომი „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები“, ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, მე–2 გამოცემა, 2013;

უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა

1. Barbara Grunewald, Burgerliches Recht, (Munich: 2006);

2. Barnes, „Toward a. Fairer Model of Consumer Assent to Standard Form Contracts: In Defense of Restatement Subsection;

3. Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016;

4. Busche in MüKo zum BGB, 6. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2012;

5. Canaris Gesamtunwirksamkeit und Teilgültigkeit rechtsgeschäftlicher Regelungen, FS Steindorff (1990);

6. Сарбаш, Исполнение Договорного Обязательстваб 2005;

7. Geo-Comm Law Review, 2013;

8. Knops, Die „weite" Sicherungszweckerklärung des persönlich schuldenden Eigentümers in der AGB-Kontrolle, ZIP 2006;

9. kots/Flenser, Europaisches Vertragsrecht, 1996;

10. Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des bürgelichen Rechts;

11. Lindacher/Hau,in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013;

12. Mark R. Patterson, „Standardization of Standard-Form Contracts: Competition and Contract Implications,"William & Mary Law Review, 52, No. 2, (2010) ;

13. Musielak, Grundkurs BGB, 12, Auflage, 2011;

14. Patterson, „Standardization of Standard-Form Contracts: Competition and Contract Implications;

15. Schmidt H., Einbeziehung von AGB im unternehmerischen Geschäftsverkehr;

16. Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl. 2018;

17. Verlag C.H. Beck, München, 2011;

18. Zerres, „principles of the German law on standard terms of contract".